

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი
ისტორიის დოქტორი, დამოუკიდებელი მკვლევარი

ევნაპი სარდელის სუბარმახოსი და მისი იდენტიფიკაციის მნიშვნელობა გვიანანტიკური ქართლის სამეფოს ისტორიის რეკონსტრუქციისათვის

გვიანანტიკური-ადრექრისტიანული ხანის რომის იმპერიის პრო-სოპოგრაფიაში ქართველ ისტორიულ პირთაგან ცნობილია ერთი მეტად საინტერესო და კოლორიტული ფიგურა, სახელად – სუბარმახოსი / Σουβαρμάχιος (Martindale 1980, 1037). მასზე ერთადერთი ცნობა, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია, IV-V საუკუნეში მოღვაწე ბერძენ წარმართ ისტორიკოსსა და სოფისტს, ევნაპი სარდელს ეკუთვნის. ევნაპის შრომამ – *Ἱστορικὰ ὑπομνήματα* („ისტორიული ჩანაწერები“), რომელიც 14 წიგნისგან შედგებოდა და 270-404 წლებს მოიცავდა, სრული სახით ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ მისი ფრაგმენტები შემორჩენილია ზოსიმეს (დაახლ. 490-იანი – 510-იანი წწ.) „ისტორიაში“ (*Ἱστορία Νέα*), პატრიარქ ფოტის (დაახლ. 820-896 წწ.) შრომაში – „ბიბლიოთეკა“ (*Μυριοβιβλιον*) და ე.წ. „სვიდას“ (*Σινδα*) ლექსიკონში (X ს.).

კონკრეტულად, ჩვენთვის საინტერესო ცნობა სუბარმახოსის შესახებ „სვიდას“ ლექსიკონმა შემოინახა, სადაც ვკითხულობთ:

Σουβαρμάχιος· οὗτος τῶν διορφόρων ἦν ἡγεμῶν, πιστότατος τῶ εὐνοῦχῳ Εὐτροπίῳ, εἶπερ τις ἄλλος. ἔπινε δὲ πλείονα οἶνον ἢ ὄσον ἡδύνατο χαιρεῖν· ἄλλ' ὄμως τὰ περὶ γαστέρα διὰ συνήθειαν οὕτω καὶ γυμνασίαν ἰσχυρὰν καὶ νεανικὴν πάντα φέρειν ἐπὶ τὴν φυσικὴν τῶν ὑγρῶν ἔκκρισιν. ἀεὶ γοῦν ἦν, πεπωκῶς τε καὶ οὐ πεπωκῶς, μεθύων. τὴν δὲ μέθην παρεκάλυπτε σφαλερὸν διαβαίνων τοῖς ποσὶ, καὶ πρὸς τὴν πτῶσιν πολεμῶν ὑφ' ἡλικίας διὰ νεότητα καὶ συνιστάμενος. ἦν δὲ βασιλικοῦ μὲν γένους, Κόλχος ἀκριβῆς τῶν ὑπὲρ Φᾶσιν καὶ Θερμῶδοντα, τοξότης ἄριστος, εἶγε μὴ κατετόξευεν αὐτὸν τὸ περιττὸν τῆς τρυφῆς. (Adler 2001, 398-99; Blockley 1983, 104-07)¹

¹ სვიდას ლექსიკონის პირველი კრიტიკული, სტანდარტული გამოცემა, 5 წიგნად, ეკუთვნის კლასიკური ლიტერატურის დანიელ მკვლევარს, ადა ადლერს: Ada Adler, *Suidae Lexicon*, 5 vols Leipzig: B. G. Teubner, 1928-38 (რეპრინტი: Stuttgart, 1967-71). მე ვსარგებლობდი მისი უახლესი რეპრინტული გამოცემით: *Lexicographi*

ამ ფრაგმენტის ქართული თარგმანი მოცემული აქვს ს. ყაუხჩიშვილს შემდეგი სახით:

სუბარმახიოსი. ის იყო მეშუბეთა უფროსი, ყველაზე ერთგული საჭურის ევტროპიოსისა; ბევრ ღვინოს სვამდა, უფრო მეტს, ვიდრე შეეძლო აეტანა. ამნაირადვე, რაც შეეხება ჭამას, ჩვეულებრივ [კარგად] იტანდა ღონიერი ახალგაზრდული ვარჯიშობის წყალობით. ის მუდამ მთვრალი იყო. მიუხედავად იმისა – იყო თუ არა ნასვამი. სიმთვრალეს კი მაღავდა, თუმცა ბარბაცით მიჰქონდა ფეხები და წაქცევას ებრძოდა თავისი სიახალგაზრდავის წყალობით და მაგრად იდგა. სამეფო გვარისა იყო, ნამდვილი კოლხი, ფაზისისა და თერმოდონტის გადაღმა მცხოვრები; რჩეული მოისარიც იყო, რომ იგი ისრით არ მოეკლა ჭარბ ფუფუნებას. (ყაუხჩიშვილი 1961, 166–167)²

ეს ფრაგმენტული ცნობა სუბარმახიოსის პიროვნების შესახებ, თავისი იზოლირებული ხასიათის გამო, დიდი ხნის განმავლობაში, მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღების მიღმა რჩებოდა. მკვლევრებს ის მხოლოდ IV საუკუნის მიწურულის რომის ისტორიაზე მსჯელობისას ახსენდებოდათ, ისიც იშვიათად და, ძირითადად, „სვიდას“ ტექსტში მოყვანილი ფაქტების (ევტროპიოსისადმი ერთგულება, ალკოჰოლის სიყვარული, კოლხური სამეფო წარმომავლობა) მოკლე და მშრალი გადმოცემით შემოიფარგლებოდნენ. არ ყოფილა მცდელობა მისი პიროვნების იდენტიფიცირებისა. ეს ყველაფერი უცნაურია იქი-

Graeci, Vol. I, Svidae Lexicon A-Ω, pars. IV Π-Ψ, ed. Ada Adler, K. G. Saur München – Leipzig, 2001 და ბერძულ-ინგლისური პარალელური გამოცემით: The Fragmentary Classicising Historians of the Later Roman Empire (Eunapius, Olympiodorus, Priscus, and Malchus), II, ed. R. C. Blockley, Liverpool, 1983. ასევე, ლათინური თარგმანისათვის და ცალკეული შენიშვნებისთვის იხ. შემდეგი გამოცემები: Boissonade 1822, 522–23; Gaisford 1834, 3361; Mullerus 1851, 48–9; Bernhardy 1853, 831–832; Dindorfius 1870, 263.

- 2 ყაუხჩიშვილს გამოყენებული აქვს Ludwig Dindorf-ის 1870 წლის გამოცემა. აღსანიშნავია, რომ ევნაპის ამ ნაწყვეტის პირველი, განსხვავებული თარგმანი ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა „გეორგიკას“ IV ტომის მე-2 ნაკვეთში, „სვიდას“ ლექსიკონის პარაგრაფში, რომელიც I ტომზე ადრე გამოიცა. პირველი თარგმანი გაცილებით თავისუფალი იყო და, როგორც ჩანს, ამის გამო მთარგმნელი გარკვეულ უკმაყოფილებას გრძნობდა, რაც მეორე, ზემოთ მოყვანილ თარგმანში გამოუსწორებია. მკითხველისთვის, შესადარებლად მომყავს ადრინდელი თარგმანის ტექსტი: „სუბარმახი: ეს იყო მეშუბეთა წინამძღოლი, საჭურის ევტროპის ისეთი ერთგული, როგორც არცერთი სხვა. სვამდა ბევრ ღვინოს, ან იმდენს, რამდენიც ჩაეტეოდა. ასევე საჭმელსაც ყველაფერს იტანდა მიჩვევის და ძლიერი ჭაბუკური ვარჯიშობის წყალობით, კუჭი კარგად მოქმედებდა. ნასვამი იყო, თუ არ იყო ნასვამი, მუდამ მთვრალი იყო; ხოლო სიმთვრალეს მაღავდა იმით, რომ რყევით აბიჯებდა ფეხებს, ებრძოდა დაავარდნას და ახალგაზრდული ასაკის წყალობით უმაგრდებოდა. იყო სამეფო გვარისა, ნამდვილი კოლხი ფაზისის და თერმოდონტის გადაღმა მცხოვრებთაგან, საუკეთესო მშვილდოსანი იყო, რომ იგი არ მოეკლა მეტის-მეტ განებიერებას“ (ყაუხჩიშვილი 1952, 322–23).

დან გამომდინარე, რომ იმ პერიოდის დადგენა, რომელშიც სუბარმახიოსს უხდებოდა ცხოვრება, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

სუბარმახიოსის ცხოვრების დრო, წრე და რომის პოლიტიკური ვითარება

ვენაპის ამ ცნობიდან ჩანს, რომ სუბარმახიოსს რომის იმპერიის სამხედრო სამსახურში ყოფნა იმპერატორ არკადიუსის (395-404) ზეობის ხანაში მოუწია. უფრო ზუსტად კი, ცნობა ეხება 395-399 წლებს, როდესაც სუბარმახიოსის მფარველმა, საჭურისმა ევტროპიუსმა თავისი კარიერის ზენიტს მიაღწია: მან ჯერ *Magister militum*-ის თანამდებობა დაიკავა, შემდეგ კი, არმენიაში შეჭრილი ჰუნების წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო ოპერაციის (398) წყალობით, კონსულად დანიშნა და პატრიკიოსის ტიტულიც მოიპოვა (მის შესახებ იხ. Martindale 1980, 440-44). მაგრამ, საჭურისის კონსულად დანიშვნის ფაქტს იმპერიაში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა – რომის იმპერიის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ევტროპიუსი იყო პირველი და უკანასკნელი საჭურისი, რომელმაც კონსულის თანამდებობა მიიღო. ისტორიოგრაფიაში ევტროპიუსი ცნობილია, როგორც ძალაუფლების მოყვარე და ხარბი პოლიტიკოსი, რომელიც ინტრიგების მეშვეობით ერთმანეთის მიყოლებით იშორებდა მოწინააღმდეგეებს, რაც მათი სიკვდილითაც მთავრდებოდა. ასე ჩამოიშორა მან ერთ დროს თავისი მფარველი, *Magister militum* აბუნდანიუსი, რომლის წყალობითაც, იმპერატორ თეოდოსი I დიდის ხანაში მისი კარიერული ზეალსვლა დაიწყო; 395 წელს, საიმპერატორო ტახტზე ახლად ასული არკადიუსისა და წარმოშობით ფრანკი ელია ევდოქსიას (*Aelia Eudoxia*) ქორწინების (27 აპრილი, 395) ხელშეწყობით, მან გზიდან ეფექტურად ჩამოიშორა აღმოსავლეთის ფაქტიური მმართველი, გალი რუფინუსი (რომელიც არკადიუსზე თავისი ქალიშვილის დაქორწინებას გეგმავდა) და იმპერატორზე უსაზღვრო გავლენა მოიპოვა. ევტროპიუსი ამითაც არ დაკმაყოფილდა და ეკლესიაზე გავლენის მოსაპოვებლად მის შიდა საქმეებში ჩარევაც დაიწყო. ამან მასსა და იოანე ოქროპირს შორის სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინოპოლის კათედრაზე იოანეს აღსაყდრების საქმეშიც (26 თებერვალი, 398), თავის დროზე, ევტროპიუსმა გადამწყვეტი როლი შეასრულა (Казачков 2010, 162-63). ამ და სხვა დაპირისპირებების საფუძველი, როგორც ითქვა, მისი ძალაუფლებისადმი უზომო სიყვარული და სიხარბე იყო – თანამდებობებზე დანიშვნის სანაცვლოდ მექრთამეობა, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ქონების კონფისკაცია

და მითვისება მისთვის ჩვეული საქმიანობა გახდა. საბოლოოდ, ევტროპიუსი თავად გახდა პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი: მისი მორიგი მოწინააღმდეგის, გოთი გაინას მეცადინეობით, ევტროპიუსმა დედოფალ ედლოქსიას და იმპერატორ არკადიუსის კეთილგანწყობა დაკარგა, რის შედეგადაც, 399 წლის ზაფხულში, ის შეიპყრეს, ჯერ კვიპროსზე გადაასახლეს, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე უკანვე გამოიძახეს და ქალკედონში თავი მოჰკვეთეს. თუმცა, ამ ამბებიდან სულ ცოტა ხანში, თვითონ გაინაც დაუპირისპირდა იმპერატორს: 400 წელს, იმპერატორის შეპყრობის განზრახვით, თავისი ერთგული ჯარისკაცები ჩააყენა კონსტანტინოპოლში. მაგრამ დედაქალაქში გაინას წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა, რომლის დროსაც იმპერატორის ერთგულმა რაზმებმა, აჯანყებულ მოსახლეობასთან ერთად, გაინას ჯარისკაცები გაანადგურეს. თავად გაინამ თრაკიაში გაქცევით უშველა თავს, მაგრამ მალევე, 401 წელს, ის არკადიუსის მოკავშირე ჰუნებმა მოკლეს დუნაის ჩრდილოეთით (Jones, Martindale and Morris 1971, 379–80).

აი, ასეთ არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებაში და ასეთი წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ფიგურის გვერდით მოუწია სუბარმახიოსს სამხედრო სამსახური რომის იმპერიაში. ცხადია, სუბარმახიოსის იდენტიფიცირებისა და მის გარშემო მიმდინარე მოვლენათა ისტორიული რეკონსტრუქციისათვის, აუცილებელია, წყაროებში არსებულ ცნობათა საფუძველზე, იმდროინდელი ვითარების სრულად გათვალისწინება. გასარკვევია, როდის და რა ვითარებაში დაიწყო სუბარმახიოსის რომაული კარიერა; ისევე როგორც, გასარკვევია მისი დასასრული. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ევტროპიუსის სიკვდილის შემდეგ იგი მალევე უნდა გარდაცვლილიყო. ერთი რამ ნათელია: 404 წლისთვის, როდესაც ევნაპიმ თავისი „ისტორიული ჩანაწერები“ დაამთავრა, ის უკვე წარსულ დროშია მოხსენიებული.

დ. ვუდსის ჰიპოთეზა

ისტორიოგრაფიაში სუბარმახიოსის პიროვნების შესახებ არსებული ლაკუნა ბოლო დროს ნაწილობრივ შეავსო დევიდ ვუდსმა თავის გამოკვლევაში „Subarmachius, Bacurius, and the Schola Scutariorum Sagittariorum“ (Woods 1996, 365–71). სტატიაში ავტორი შეეცადა გაერკვია გვიანანტიკური რომის საიმპერატორო პირადი დაცვის – *scholae palatinae*-ს შენაერთში სუბარმახიოსის სამხედრო პოზიცია და მისი როლი ევტროპიუსის და გაინას დაპირისპირებაში. ვუდსის თქმით, IV საუკუნის 70-იანი წლებისთვის, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ეთნი-

კური პრინციპით დაკომპლექტებული ორი Schola palatina არსებობდა: სპარსული schola scutariorum clibanariorum, შემდგარი ძძიმედ შეჯავშნული კავალერისტებისგან და იბერიული/ქართული schola scutariorum sagittariorum, შემდგარი მშვილდოსანი კავალერისტებისაგან. მკვლევრის აზრით, სუბარმახიოსი სწორედ ამ იბერიულ-ქართული სკუტარიების სხოლას ტრიბუნი უნდა ყოფილიყო. ვუდსი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღადგენს მშვილდოსანი კავალერისტების იმ ქართველ ტრიბუნთა სავარაუდო სიას, რომლებსაც მეოთხე საუკუნის ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ამ რომაულ სამხედრო შენაერთისთვის უნდა ეხელმძღვანელათ: ბარზიმერესი 374 (?) – 377, ბაკურიუსი 377/378 – დაახლ. 380, ფარასმანესი (?) – დაახლ. 380-395 და სუბარმახიოსი – 395/399 წლები (ამ საკითხზე იხ. ასევე: ნიკოლოზიშვილი 2018, 152–73). მისივე აზრით, იგივე თანამდებობა უნდა სჭეროდა პეტრე იბერს V ს-ის დაახლ. 30-იან წლებში, როდესაც ის საპატიო მძევლის სტატუსით იმყოფებოდა რომის იმპერატორის კარზე (Woods 1996, 367–68),³ მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

ვუდსისი მოსაზრებას schola scutariorum sagittariorum-ის ჩამოყალიბების ქრონოლოგიის შესახებ არ დაეთანხმნენ ჯონათან ბარლოუ და პიტერ ბრენანი. ქართველი უფლისწულების ამ სხოლის ტრიბუ-

3 ზაქარია რიტორი თავის „ისტორიაში“ ამბობს, რომ რომის იმპერატორის კარზე მისი მძევლად ყოფნის პერიოდში პეტრე იყო „სამეფო საჯინიბოს გამგე“ (ივარაუდება, რომ პეტრემ, იმპერატორის დაუკითხავად, კონსტანტინოპოლი დატოვა 430 თუ 437 წელს), გვიანლათინურ ენაზე თარგმანით – equis regii praepositus (Brooks 1924, 108); კრუგერის გერმანული თარგმანით: “Verwalter des kaiserlichen Marstalls wurde” (Zacharias Rhetor 1899, 12). ამ თარგმანს მიჰყვება ყაუხჩიშვილიც (1936, 4); ჰამილტონის და ბრუკსის ინგლისური თარგმანით: “he was placed in charge of the royal horses” (Zachariah of Mitylene 1899, 51); კ. ჰორნის ინგლისური თარგმანითაც: “He was put in charge of the royal horses” (Pseudo-Zachariah Rhetor 2011, 118). ეს სტატუსი რ. რააბეს (1895, 5) ესმოდა როგორც: „საიმპერატორო კავალერიის მეთაური“: „Petros am Hofe von Konstantinopel über die kaiserliche Reiterei gesetzt gewesen sei“ (ყაუხჩიშვილის თარგმანით: „ცხენოსანთა სამეფო რაზმის უფროსი“); გ. კრუგერი რააბეს მოსაზრებას უსაფუძვლოდ მიიჩნევდა (Zacharias Rhetor 1899, 307; ყაუხჩიშვილი 1936, 4, შენ. 2). დ. ბრაუნდის ბოლო დროს გამოთქმული კომენტარის თანახმად (1994, 285), რომელიც, თავის მხრივ, ჯონ მარტინდეილს ეყრდნობა (Martindale 1980, 867), ზაქარია რიტორთან დადასტურებული პეტრეს სტატუსი დომესტიკოსთა კავალერიის (domestici equites) ტრიბუნობა უნდა ყოფილიყო. თუმცა, ვუდსის აზრით, ამის კატეგორიულად მტკიცება ძნელია, რადგან სიტყვები “equis regii praepositus” თანაბრად შეიძლება გულისხმობდეს scholae palatinae-ს ცხენოსანთა ნებისმიერი შენაერთის უფროსობას, მათ შორის, schola scutariorum sagittariorum-ის უფროსობასაც, როგორც ეს იყო მისი უშუალო წინაპრების შემთხვევაში. ჩემი აზრით, სიმყარე აკლია კ. ჰორნის მოსაზრებას, რომ ზაქარია რიტორის სიტყვები პეტრე იბერის შესახებ მის იმპერიულ სამხედრო სტატუსზე კი არ მიანიშნებს, არამედ – ქართველების განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე და სიყვარულზე ცხენების მიმართ. მისი აზრით, პეტრეს იმ ცხენების მოვლა ევალებოდა, რომლებიც სამეფო კარის გართობის მიზნით, მაგ. როგანზურთის (ἄσκافيζα, ἄσκافيζα < სპარს. tshu-gan; აქედან: ქართ. როგანი) სათამაშოდ გამოიყენებოდა (Pseudo-Zachariah Rhetor, 118, შენ. 118; Horn 2006, 63–4, შენ. 62).

ნობასთან დაკავშირებით კი ისინი აღნიშნავენ, რომ ბაკურიუსის გარდა, არცერთ მათგანზე უეჭველი მტკიცებულება არ არსებობს (Barlow and Brennan, 2001, 237–54). Schola scutariorum sagittariorum-ის ჩამოყალიბების დრო და ვითარება გვიანანტიკური რომის სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი კომპლექსური საკითხია და მისი დეტალების განხილვა ამ წერილის მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ ქართველ უფლისწულებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბარზიმერესის, ბაკურიუსის, ფარასმანესისა და სუბარმახიოსი მოღვაწეობის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, დ. ვუდსის მოსაზრება მათი ტრიბუნობის შესახებ, ჯერჯერობით, ყველაზე მწყობრი და გამართული სამეცნიერო ჰიპოთეზაა.

საქმე ისაა, რომ ზემოთ ნახსენები ისტორიული პირები პეტრე იბერის წინაპრებთან იგივედებიან. პეტრეს სირიული ცხოვრების ცნობათა საფუძველზე ბარზიმერესი / ბუზმარიოსი (Barzimeres / Busmerios / Bosmarios / Busmirios) უნდა იყოს პეტრე იბერის პაპა მამის მხრიდან; ბაკურიუსი / ბაკური – მისი პაპა დედის მხრიდან; ხოლო ფარასმანიოსი / ფარასმანესი / ფარსმანი – მამის მხრიდან ბებუის ძმა (ლოლაშვილი 1988, 9–10, 79–83; Horn and Phenix 2008, lxxxv, 5–23; Horn 2014). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თანახმად, ფარსმანი ბაკურის დისშვილია (მოქცევაჲ 1979, 325). აქედან გამომდინარე, თუ ქართლის სამეფო ოჯახის წევრებს რომის კარზე მსახურების პერიოდში, ტრადიციულად, ერთი და იგივე საპატიო სამხედრო თანამდებობა ეკავათ (schola scutariorum sagittariorum-ის ტრიბუნი) და თუ სუბარმახიოსიც სკუტარიების ტრიბუნი იყო, მაშინ გამოდის, რომ იგი ამ სამეფო ოჯახის წევრიც უნდა ყოფილიყო. გავიხსენოთ ევნაპი სარდელის სიტყვები, რომ სუბარმახიოსი „სამეფო გვარისა იყო, ნამდვილი კოლხი, ფაზისისა და თერმოდონტის გადაღმა მცხოვრები“. აქ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას ვაწყდებით: როგორც ცნობილია, ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიული პირები იბერიის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ოჯახის წევრები იყვნენ, ხოლო სუბარმახიოსი „კოლხად“ იწოდება. თუკი ეს უკანასკნელიც იბერიის სამეფო ოჯახის წევრი იყო, მაშინ რატომ უწოდა ევნაპიმ მას „ნამდვილი კოლხი“ და არა – „იბერიელი“? ვუდსი უშეგებს, რომ სუბარმახიოსი იბერიელი იყო და მოკლედ აღნიშნავს, რომ “His description as a pure Colchian from beyond Phasis raises the possibility that he was an Iberian” (Woods 1996, 367) და მიაჩნებს იმ პრეცედენტზე, რომ მანამდე, სულ რაღაც 20 წლით ადრე, schola scutariorum sagittariorum-ის ტრიბუნი იბერიელი სამეფო წარმომავლობის ბაკური იყო. ამაზე შორს ვუდსის დასაბუთება არ წასულა, თუმცა სასურველი კი იყო. ამიტომ, ამ საკითხს ქვემოთ დაწვრილებით შევეხები.

რაც შეეხება სუბარმახიოსის ბედს, ევტროპიუსის სიკვდილის შემდეგ, მასზე ჩვენ დანამდვილებით არაფერი ვიცით, მაგრამ დ. ვუდსი ვარაუდობს, რომ მას, როგორც საიმპერატორო სქოლა პალატინას ტრიბუნს და ევტროპიუსის ერთგულს, შური უნდა ეძია მისი პატრონის სიკვდილში დამნაშავე გაინაზე, როდესაც გაინამ, 400 წელს, თავისი მომხრე ჯარისკაცებით დედაქალაქი დაიკავა და იმპერატორის შეპყრობა და სიკვდილი განიზრახა. დ. ვუდსის აზრით, გაინას მომხრე რაზმების გაწყვეტაში და საიმპერატორო ხელისუფლების დაცვაში სუბარმახიოსს ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა ეთამაშა, როგორც იმპერატორისადმი ლოიალური schola scutariorum sagittariorum-ის ტრიბუნს.

აქამდე ამით მთავრდებოდა ჩვენი ცოდნა და ვარაუდები სუბარმახიოსზე. ქვემოთ შევეცდები, მეტი ნათელი მოვფინო მის პიროვნებას და, აქედან გამომდინარე, IV საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოს და რომის ისტორიის გარკვეულ მოვლენებსაც. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ, რა სახელია Σοῦβαρμάχιος-ი.

სახელის – Σοῦβαρμάχιος – ეტიმოლოგია

ზუსტად ამ ფორმით Σοῦβαρμάχιος სახელი არსად გვხვდება, ისტორიის არცერთ ეტაპზე – არც რომის იმპერიაში, არც ქართლისა და ლაზიკის სამეფოში და არც მეზობელ სპარსეთსა თუ სომხეთში. შესაბამისად, არსებობს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეგნაპი სარდელის მიერ ნახსენები Σοῦβαρμάχιος, უბრალოდ, რომელიღაც სხვა სახელის დამახინჯებული, ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა, რომელიც შეიძლებოდა მიღებულიყო ან ზეპირი გადმოცემით, ან გადამწერის შეცდომით, ან კიდევ სხვა რამ მიზეზით. მის ფონეტიკურ ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ ის სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ბერძნული ვარიაცია ლათინურ საისტორიო მწერლობაში, კონკრეტულად კი ამიანე მარცელინესთან ნახსენები სახელისა – Sauromaces, რომელიც, თავისთავად, მეცნიერებაში საყოველთაოდ გაზიარებული აზრით, ქართულში ირანულიდან შემოსული „საურმაგ“-ის რომანიზებული ფორმაა. ამიანეს Sauromaces / სავრომაკე, როგორც ცნობილია, იყო იბერიელი, ქართველი, IV ს-ის 60-70 წლებში რომის მიერ ჯერ მთლიანი ქართლის სამეფოს მმართველად დასმული, ხოლო შემდეგ მისი დასავლეთი ნახევრის მმართველი.

ქართულ საისტორიო წყაროებში საურმაგის სახელით სულ სამი პირია ცნობილი: 1. ელინისტური ხანის ქართლის მეფე (ძვ. წ. III ს. მეორე ნახ.), ფარნავაზის ძე (მოქცევაჲ 1979, 320; მეფეთა ცხოვრება

1955, 26–7); 2. ვახტანგ გორგასლის მამამძუძე და სპასპეტი (მეფეთა ცხოვრება 1955, 143, 145); და 3. ამავე მეფის ეჯიბი (მეფეთა ცხოვრება 1955, 186, 189) (ორივე, V ს. მეორე ნახ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სადაც ეს სახელი 26-ჯერ იხსენიება, მაჩაბლისეულ, დადიანისეულ, სხვიტორულ და ჭალაშვილისეულ ნუსხებში (და ამ უკანასკნელში უმეტესწილად) მის ვარიანტად გვაქვს „სურმაგ“ (მეფეთა ცხოვრება 1955, 26, 27, 28, 32, 33, 143, 145, 156, 186, 189),⁴ რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ კანონზომიერებასთან და არა შემთხვევითობასთან. „სურმაგ“ ვარიანტის ეკვივალენტი უნდა იყოს სირიულ-სომხური Sürmak / Sormak, რომელიც ბერძნულში Σορμάκ ფორმით გადავიდა, როგორც ეს ფ. იუსტიმ თავის დროზე შენიშნა (Justi 1963, 318).⁵ სპარსულში au დიფთონგის მონოფთონგიზაციას au (> ö) > ü ირანისტიები უკვე ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრისთვის ვარაუდობენ (Тохтасьев 2005, 297–98, შენ. 75, 76). თუმცა, სრულიად შესაძლებელია, ქართული ვარიანტი „სურმაგ“ ირანულიდან კი არ იყოს შეთვისებული, არამედ ადგილობრივი, დიალექტური (სამხრეთ-დასავლური ქართული?) ვარიანტი იყოს, სადაც ა+უ კომპლექსში ბგერათა შერწყმის შედეგად დაიკარგა წინამავალი ა ხმოვანი (ა+უ > უ) და ამგვარად მივიღეთ „სურმაგ“ (მდრ. „დედაუფალი“ > „დედუფალი“ და მსგავსი ფორმები (შანიძე 1976, 27; სარჯველაძე 1984, 325)).

ვახტანგ გორგასლის ეპოქის შემდეგ სახელი „საურმაგ“ გვხვდება განვითარებულ შუასაუკუნეებშიც. კერძოდ, მიქაელ მოდრეკილის X ს-ის ჰიმნოგრაფიულ კრებულში, ეზრას სახელით ცნობილი ერთ-ერთი საგალობლის მინაწერში ვკითხულობთ: „ქრისტე, ადიდე საურმაგ და ძე მისი მირვან“ (კეკელიძე 1980, 177, 593). გარდა ამისა, ჯავახეთის ახაშენის დარბაზული ეკლესიის დასავლეთ ფასადზე შემონახულია ქტიტორის ბარელიეფი წარწერით: „ქ[რისტე] შ[ეიწყალ]ე ნიღვარაჲ, ძე საორმ[ა]გისი“: პალეოგრაფიულადაც და ბარელიეფის პლასტიკური ანალიზითაც ნ. ჩუბინაშვილი წარწერას XI ს-ის პირველი მეოთხედით ათარიღებს (ჩუბინაშვილი 1959, 135–37, 149). ამის შემდეგ, 1799 წლის, ერთ-ერთ იურიდიულ საბუთში დადასტურებულია გვარი საურმაგიძე, გრემის ხევიდან (დოლიძე 1977, 110–11). აქედან ჩანს, რომ ეს სახელი შუა საუკუნეების საქართველოში გარკვეულწილად მაინც

4 ასევე გვაქვს თითო-თითო შემთხვევა „სარმაგ“ და „საურაგ“ ვარიანტებისა, სადაც პირველი იშვიათი ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს, ხოლო მეორე შეიძლება გადამწერის შეცდომაც იყოს.

5 სომხურ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული სურმაკი იყო სირიელი ნესტორიანელი, ბზუნის ეპისკოპოსი, რომელიც, 428 წელს სპარსეთის შაჰმა ბაჰრამ V-მ სომხეთის კათალიკოსად დანიშნა. მალაქია ორმანიანი მას (ინგლ. ტრასკრიპციით: Sourmak) ანტიპატრიარქად მოიხსენიებს (Ormanian 1912, 27–8, 231; Garsoian 1983, 243, 244, 246–48; Казарян 2006).

ყოფილა გავრცელებული და არამხოლოდ მაღალ სოციალურ წრეებში, რაზეც მისგან წარმომადგარი ყმა-გლეხის გვარი – „საურმაგიძე“ მეტყველებს. ამის შემდეგ, საბჭოთა პერიოდში, XX ს-ის 20-იანი წლებიდან სახელი „საურმაგი“ კვლავ ვრცელდება, მხოლოდ – უკვე წიგნიერი გზით. ეს სახელი ერქვათ ისეთ ცნობილ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ საქართველოს დამსახურებული მხატვარი საურმაგ ლამბაშიძე (დაბ. 1925), ბიოლოგი, პროფ. საურმაგ ბუთხუზი (დაბ. 1927), ისტორიკოსი საურმაგ კაკაბაძე (დაბ. 1928), მშენებელი საურმაგ თურმანიძე (დაბ. 1938).

სახელის „საურმაგ“ / *Sauromaces* ეტიმოლოგიაზე მეცნიერებაში ერთიანი აზრი ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული. ფ. იუსტი მას ეთნიკურ სახელთან – *Sauromates* (< *awest. *saorōmañt*) აკავშირებს: *Sauro* (= ისრისპირი, შუბისპირი) + *m(ates)* (< ავესტ. *mant* = ალჭურვილი, შეიარაღებული) + *aka* აფიქსი (1895, 292–93, 318). კ. მიულენჰოფის, ფ. იუსტის, ფასმერის, რ. შმიტის და ს. ტოხტასიევის თანახმად ეს სახელი „ისრისპირებით (სატყორცნი იარაღით) ალჭურვილს“ უნდა ნიშნავდეს (*Müllenhoff* 1892, 120 შენ. **, 128). მეორე მოსაზრება, რომელიც უფრო საბჭოთა სამეცნიერო წრეებში გავრცელდა, ვ. აბაევს ეკუთვნის. მის მიხედვით, *Saurmag* / *Surmag* ეტიმოლოგია ოსურის საფუძველზე იხსნება, როგორც *Saw* (შავი) + *arm* (ხელი) + *ag* სუფიქსი = „შავხელა“ (‘чернорукий’, ‘смуглорукий’), ხოლო სატომო სახელი *Σαυρομάται* ნიშნავს *saw-ærm-a-toe* = „შავხელიანებს“ (‘чернорукие’, ‘смуглорукие’) (*Абаев* 1949, 154, 183–84, 230). ვ. აბაევის მოსაზრება გაიზიარეს ქართველმა ირანისტებმაც – მ. ანდრონიკაშვილმა (1966, 493) და თ. ჩხეიძემ (*Chkeidze* 2001). აბაევი უთითებს ოსურ სახელს *Sawrmæg*, რომლის შესახებ, დიდი ალბათობით, მისთვის ცნობილი გახდა ლ. მსერიანცის 1900 წელს გამოქვეყნებული წერილიდან, რომელსაც, თავის მხრივ, ეს ინფორმაცია ვ. მილერისაგან ზეპირი გზით მიუღია (*Мсерианц* 1900, 25). მაგრამ XIX საუკუნის ალწერის დავთრების თანახმად, ჩრდილო კავკასიის ხალხებში, მათ შორის, არც ოსურ მოსახლეობაში, მსგავსი სახელი არ დაფიქსირებულა.⁶ „ჩრდილოეთი კავკასიის საკუთარ სახელთა შეერთებული ლექსიკონის“ (რომელიც XX საუკუნის ვითარებას ასახავს) თანახმადაც, ამ ან მსგავსი ანთროპონიმის გავრცელების მაგალითები ჩრდ. კავკასიის არცერთ ხალხში არ დასტურდება (*Намиитокова* 2012).⁷ რაც შეეხება ვ. მილერის ზეპირ ცნობას, ვფიქრობ,

6 ეს ინფორმაცია მომწოდა პროფ. რ. თოფჩიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ.

7 გამონაკლისია მხოლოდ გაურკვეველი ეტიმოლოგიის მამაკაცის სახელი *Sirmik* / *Сирмик* დარგულ ენაში (*Намиитокова* 2012, 203), რომელიც შესაძლოა მიღებული იყოს სპარსული „სერმაჟე“-დან (سرمايه) = ‘სიმდიდრე’ (შდრ. ქართ. „სირმა-აბაზი“);

ის ეხებოდა არა ანთროპონიმს, არამედ ჩრდ. კავკასიელ ხალხთა (და არამარტო ოსების) ფოლკლორში მითიური გველეშაპის, დრაკონის სახელს, რომელიც სხვადასხვა ფორმით არის დაფიქსირებული – ინ-გუშ. სდარმაქ / სარმაქ (Сармак) (Дахкильгов 2003, 17, 43; Дахкильгов 2006, 27–30, 53, 138), ყარაჩ. სარუზბეკ / სარიუზბეკ (Саруубек / саруубек / сарубек); მ – ბ ბგერათა მონაცვლეობით), ბალყ. სარიუეყ (Саруеқ; ბ ბგერის დაკარგვით) და სხვ. (Джуртубаев 1998, 122; Текеева 2014, 99, 104; Алиева 1983, 180). მაგრამ, როგორც ვთქვი, არც ერთი ამ სახელთაგან ანთროპონიმად არასდროს გაფორმებულა. მხოლოდ სიტყვათა ფონეტიკურ მსგავსებაზე ეტიმოლოგიის აგება კი მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია.

ყოველივე ზემოთ თქმული ვ. აბაევის ეტიმოლოგიას ფაქტობრივ საფუძველს აცლის. ეს ეტიმოლოგია ჯერ კიდევ 1962 წელს დააყენა ეჭვქვეშ ცნობილმა ამერიკელმა ირანისტმა რიჩარდ ფრაიმ: “The identity of the names Sauromat and Sarmat is likely, although the Ossetic etymology ‘dark arm’ proposed by Abaev is quite questionable” (Frye 1962, 161). აგუსტი ალემანი მას ძალზე საკამათოს უწოდებს: “Abaev’s hypothesis *saw-œrm-œg ‘смуглорукий’ from Oss. Saw < *syāva – ‘black’ + arm < *arma – ‘hand’ + suffix – œg < *-aka – is extremely controversial, as it has also been applied to the ethnic name Σαυρομάται : Σαρμάται” (Alemany 2000, 327–28). ბოლო დროს კი რუსმა ლინგვისტმა ს. ტობტასიევმა დაწვრილებით შეისწავლა Sauromatae / Sarmatae ეთნონიმების საკითხი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და ეტიმოლოგიური კუთხით და ქართული „საურმაგის“ ჰიპოთეტიკური ოსური Sawrmaeg-იდან მიღება შეუძლებლად მიიჩნია როგორც ფონეტიკური, ასევე სემანტიკური თვალსაზრისით. იგი აღნიშნავს, რომ აბაევი და იმ მეცნიერთა უმრავლესობა, რომლებიც მის ეტიმოლოგიას იზიარებენ, არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ეთნონიმში – Σαυρομάται გამოიყოფა მორფემა – μάται, რომელიც საერთოა სავრომატების მონათესავე და იმავე სტეპურ ზონაში მცხოვრები ხალხების სახელწოდებებისთვის: Ἰαζα-μάται და Θισα-μάται. რაც შეეხება სიტყვის სემანტიკას, ტობტასიევის განმარტებით, „შავი“ არ შეიძლება იყოს დადებითი კონოტაციის მატარებელი. ლამაზად მიიჩნეოდა თეთრი ხელები და ასეთ შემთხვევებში „თეთრი“ ლამაზი ქალის, გოგონას სინონიმი იყო. მაგ. ავესტ. *auruša.bāzu* – ‘თეთრხელება’ (ლამაზ გოგონას აღსანიშნავად), ბერძნ. *λευκάλευος* – ‘თეთრიდაყვიანი’ (ქალღმერთი ჰერა) და სხვ. მაგრამ

ან – თურქული *sirma*-დან ‘ვერცხლის ძაფი’ (შდრ. სულხან-საბას „სიტყვის კონა“: „სირმა სხვათა ენაა, ქართულად ოქროს-თმა ჰქვიან“). ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეტყველებს აბაზინურში დადასტურებული ქალის სახელი *Sirma* / *Сирма* ოქროს მნიშვნელობით (Намиитокова 2012, 34, 363).

მამაკაცის და ღმერთების სილამაზე თვისობრივად განსხვავდებოდა ამისგან, ის გამოიხატებოდა ეპითეტებით „ძლიერხელიანი“, „მხარგრძელი“ და სხვ. მაგ. ავესტ. *auua.bāzu* – (ღვთაება მითრა) და *dar’gō.bāzu* – (ზარათუშტრა), გვხვდება „ლამაზხელიანიც – ძვ. ინდ. *subāhu* – (ღვთაება ინდრა) მაგრამ არავითარ შემთხვევაში – „თეთრხელა“ და, მით უმეტეს – „შავხელა“ (Тохтасьев 2005, 296, 304, შენ. 59, 61).

მართალია, ტოხტასიევი საკითხს საბოლოოდ გადაჭრილად მიიჩნევს მიულენჰოფის, იუსტის, ფასმერის და შმიტის მოსაზრებათა სასარგებლოდ, მაგრამ ვფიქრობ, საქმე მთლად ასე არ უნდა იყოს და კვლევისთვის სივრცე კიდევ არსებობს. ჩემი აზრით, სახელი „საურმაგ“ ეტიმოლოგიურად შეიძლება დავუკავშიროთ სოგდურ წარწერებში დადასტურებულ სახელს *sw’rm / Sō-arm*, რომლის მნიშვნელობაცაა „ძლიერი მკლავი / მხარი“: სოგდური **sw-*, **s’w-*, **sw’* (ავესტ. *sauuah-*, ძვ. ირან. **suvi-*, ძვ. ინდ. *Śavas-*) = „ძალა“, „ძლიერება“ + **’rm* = „მკლავი“, „მხარი“ (Lurje 2010, 354 #1109), ამას ქართულში დამატებული აქვს – *ag < -ak(a)* სუფიქსი. ირანულ-სოგდურ ონომასტიკონში **sw* – ფუძე გვხვდება როგორც ცალკე აღებული სახელი: *sw’ / Sawā?* = „ძალა“, „ძლიერება“, „ძლიერი“ (Lurje 2010, 353 #1106), ასევე გვხვდება მისგან ნაწარმოები *სხვა სახელებიც*, მაგ. *sw’rōn / Sō-ara(θ)n* = „ძლიერიდაყვიანი“ (**sw’ + *araθni-*) (Lurje 2010, 354 #1108) და სხვ. ეს სოგდური სახელები დამოწმებულია IV-VI სს-ების წერილობით წყაროებში, რაც კარგად თანხვდება ვახტანგ გორგასლის ეპოქას, როდესაც მეფის კარზე მისი ორი დიდებული – საურმაგ სპასპეტი და საურმაგ ეჯიბი ამ სახელს ატარებს. თუმცა, ამავე ძირით სახელები გვხვდება ძვ. ირანულიდან მომდინარე გაცილებით ადრინდელ წყაროებშიც: ჟან ტავერნიეს მოჰყავს არამეულ და ბაბილონურ ტექსტებში დადასტურებული ირანული საკუთარი სახელები, რომლებიც ძირიდან *Sava - / savah -* = „მოგება, მონაგები, სარგო, მოხვეჭა, შეძენა“ (< ძვ. ირან. *savas -* = „ძალა, სიძლიერე“, ავესტ. *sauua - / sauuah-*) არის ნაწარმოები: მიდიური **Fraθasavā* (ბაბილ. *Pa-ar-ta-sa-mu < Fraθa-savah-*; შდრ. ავესტ. *fraθa-sauuah-*) = „მონაგების გამავრცელებელი“, **Nāmasava* (არამ. *Nmsw < Nāma-sava*) = „სახელმოხვეჭილი“, **Savaka-(?)* (ბაბილ. *Sa-ma-ak-ku < Sava + -ka* კნინობითი აფიქსი) = „მონაგები“, „შენაძენი“ და იგივე მნიშვნელობით მიდიური **Savayaka* (არამ. *Swyk. < *Sava-ya-ka*, სადაც – *ka-* კნინობითის აფიქსია, ხოლო – *ya -* არის **Savah -* ძირის სავრცობი) (Tavernier 2007, 183, 257, 308, 311, 563, 605). დავუბრუნდეთ ისევ საშუალო ირანულს: სოგდურის შემდეგ მეორე საშ. ირანული ენა, სადაც ამ ძირიდან მომდინარე სახელებია დადასტურებული, არის ბაქტრიული ენა. ბაქტრიულ ტექსტებში, რომლებიც I-IX სს-ების შუალედს მოიცავენ, გვაქვს სახელი

– *σᾶοο / *Sawah, მომდინარე ძვ. ირანული – *Sawah – = „ძალა, ძლიერება“ – რეკონსტრუირებული საკუთარი სახელიდან (შდრ. ავესტ. Sauuah – და სოგდ. sw’) (Sims-Williams 2010, 125). ამავე ძირიდან არის ნაწარმოები სახელები: σᾶοογιο / Sawug, სადაც – γιο კნინობითი აფიქსია (Sims-Williams 2010, 126); σιοი / Swe – შესაძლოა მომდინარეობდეს აღმატებითი ფორმიდან *Sawyah – „უძლიერესი“ (Sims-Williams 2010, 131); σιοαδᾶდი (?) / Suwa-dad (?) – (წაკითხვა სავარაუდოა, მაგრამ შესაძლოა ნიშნავდეს „ძლიერის მოცემულს“) (Sims-Williams 2010, 131); οᾶνοσᾶο / Wanu-saw ან Wan-saw = „გამმარჯვებელი ძალა“ (შდრ. იდენტური სახელი სოგდურში – wnws’w) (Sims-Williams 2010, 99); σιοοαβῖσᾶσᾶο – სადაც საწყისი σιο ან σιοი კომპონენტი სავარაუდოდ უკავშირდება *σᾶοο / *Sawah-ს, მაგრამ დანარჩენის მნიშვნელობა გაურკვეველია (Sims-Williams 2010, 132); σιοσῖσᾶο / Swusiy ან Suwsiy, სადაც σιο კომპონენტი უნდა უკავშირდებოდეს *σᾶοი-ს, ხოლო სუფიქსი σῖσᾶო არის – σῖσᾶ < *-čiya-ka სუფიქსის გვიანდელი ვარიანტი (Sims-Williams 2010, 132). ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი ძვ. ირანული, სოგდური და ბაქტრიული სახელები იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ სახელი „საურმაგ“ ეტიმოლოგიურად დავუკავშიროთ ძვ. ირანულს: *Sawa-arm + კნინობითი აფიქსი ak(a) = „ძლიერი მკლავი“.

მიუხედავად იმისა, სამომავლოდ, გაზიარებული იქნება თუ არა ირანისტების მიერ ქართული „საურმაგ“-ის ჩემეული ეტიმოლოგია, შესაძლებელია სახელის ქართული ფორმიდან ლათინური Sauromaces და ბერძნული Σαυρομαχῖος-ის მიღების ფონეტიკური პროცესისადმი თვალის გადავლება. უმთავრესი მიზეზი, რის გამოც სუბარმახიოსის იდენტიფიკაცია დღემდე ვერ მოხერხდა, ის არის, რომ ამ სახელის ფონეტიკური ანალიზი არავის უცდია, არც უცხოელ და არც ქართველ მკვლევართაგან.

დავიწყოთ ლათინური ფორმის – Sauromaces განხილვით. ამ შემთხვევაში ფონეტიკური პროცესი გამჭვირვალე და მარტივია, რის გამოც მკვლევრებმა ის იმთავითვე უპრობლემოდ დაუკავშირეს ქართულ-სპარსულ საურმაგს და არც მას შემდეგ გამოთქმულა რაიმე ეჭვი (ჯავახიშვილი 1908, 138; ჯავახიშვილი 1960, 234; კეკელიძე 1955, 14; ნარკვევები 1973, 79; Rayfield 2012, 40–41; Labas 2014, 130).⁸ Sauromaces ძველი ლათინური ტრანსლიტერაციით გადმოიცემოდა როგორც SAVROMACES, სადაც V გადმოსცემს უ / u ხმოვანს; სახელი გაფორმდა ლათინური – es დაბოლოებით, რის გამოც ქართული მჟღერი უკანასა-

8 სტივენ რაპი ერთგან, აღრინდელ ნაშრომში, აღნიშნავს, რომ სახელი საურმაგი ოსურ-სარმატულ-ალანური, ანუ „ჩრდილო ირანულია“ (Rapp 2003, 277), ხოლო მეორეგან, მოგვიანო ნაშრომში, დაეჭვებით აღნიშნავს, რომ შესაძლოა აღმოსავლურ ირანულია: „The name Saurmag may be East Iranian“ (Rapp 2014, 151 Sen. 218, 222)

სისმიერი გ / გ დაყრუვდა და გადავიდა ლათინურ უკანასასისმიერ ყრუ c-ში, სავარაუდოდ, მომდევნო ყრუ s თანხმოვნის დისტანციური გავლენით (ლათინური სახელის ბერძნულ ტრანსლიტერაციაშიც გვაქვს c > γ მონაცვლეობა: Verecundus > Βερεϋόνδις; g <-> c მონაცვლეობა, როგორც ჩანს, დიალექტურ ნიადაგზე დასაშვებია თვით ლათინურშიც: Gaius – Caius (Ilan 2008, 18)); აქვე, r და m თანხმოვნებს შორის გაჩნდა თანხმოვანთგასაყარი o ხმოვანი. შესაბამისად, მთლიანი ფონეტიკური პროცესი ასე წარმოგვიდგება: „საურმაგ-ი“ > SAVRMAG > SAVR[O]MAG > SAVROMAC > SAVROMAC-ES (გვიანდელი ტრანსლიტერაციით Sauromaces). შესაძლოა, სახელი ამგვარი ტრანსლიტერაციით თავად ამიანეს ჩანაწერია ზეპირი წყაროდან (იგი სავრომაკეს თანამედროვე იყო), ან სახელის ამგვარი ფორმა იმპერიის ოფიციალურ დოკუმენტებში ამოიკითხა, რომლებთანაც მას წვდომა ჰქონდა. ყველა შემთხვევაში, ამიანეს ლათინიზებული ვარიანტი, ფონეტიკური თვალსაზრისით, ძალიან კარგად, თითქმის ზედმიწევნით ასახავს მის დედანს – ქართულ-სპარსულ „საურმაგს“.

შედარებით უფრო რთულადაა საქმე სახელის ბერძნული ვარიანტთან დაკავშირებით. ეჭვი არაა, რომ ევნაპი სარდელმა ბერძნული Σοιβαρμάχιος ლათინური ფორმიდან აწარმოა, თუმცა უშუალოდ ამიანეს „ისტორიიდან“ თუ რომელიმე სხვა წყაროდან, ამის კატეგორიული მტკიცება რთულია. სახელის გრეციზებული ფორმის კლასიკური ბერძნულით წაკითხვის შემთხვევაში ის უღერადობით იმდენად სცილდება ქართულ-სპარსულ დედანს და ამიანეს ლათინურ ფორმას, რომ სპეციალური დაკვირვების გარეშე მისი წარმოშობის დადგენა ძნელდება. ამას ხელს უწყობს სახელის ბოლოს მორფემა – μαχίος, რომელიც ცდუნებას ბადებს, რომ მასში დავინახოთ ბერძნული – μάχη = ბრძოლა (μάχημαι = ვიბრძვი), რომელიც სახელს წმინდად ბერძნულ უღერადობას სძენს. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, Σοιβαρμάχιος-ში μάχη-ს გამოყოფა მისი მნიშვნელობის დასადგენად, მცდარი გზაა.⁹

ამ სახელის რაობის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ბერძნული და ლათინური ენების ისტორიულ ფონეტიკას მივმართოთ

9 ამ ძირიდან ნაწარმოებ შედგენილ სახელებში უფრო ხშირად მეორე ელემენტად გვაქვს – μαχίος: Ἀντί-μαχίος, Ἐπί-μαχίος, Ἐὐρπ-μαχίος, Θρασ-μαχίος, Νικó-μαχίος, Τηλέ-μαχίος და სხვ. თუმცა, შედარებით უფრო იზვიათად გვაქვს ასევე – μαχίος: ეგოსის სანაპიროზე აღმოჩენილ ძვ. წ. II ს-ის სამი ამფორის დამლაზე იკითხება Μαχίος (შავლაყაძე 2016, 184). შედგენილ სახელთაგან კი პაპირუსებში ერთხელ გვხვდება Ἀθηρμάχιος (ძვ. წ. 110), ერთხელ – Ταρμάχιος (201-250 წწ.) და 20-ზე მეტჯერ – Ἀρμάχιος (ძვ. წ. IV ს-დან – ახ. წ. 300 პერიოდში) (Duke Collaboratory 2013). ცნობილია ასევე IV-V საუკუნეში მოღვაწე რომაელი სენატორი და შემდეგ ბერი სახელით – Pammachius, რაც ბერძნული Παμμαχίος-ის (< πᾶν+μαχίμαι = ყოვლადმ-ბრძოლი) ლათინიზებული ფორმაა.

და, ამავე დროს, გავითვალისწინოთ ევნაპი სარდელის პიროვნება და მისი წერის მანერა. პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, რას წარმოადგენს Σουβαρμάχιος-ში – ος – კომპლექსი. ლათინური კონსონანტური u (v), როგორც წესი, ბერძნულში გადმოიცემა ου ან υ-თი, მაგ. Σεουήριος და Σευήριος < ლათ. Severus (Balzat et al. 2018, 382), მაგრამ, ასევე, β-თიც (მაგ. Βίκτωρ < Victor, Βικαρίου < vicarius, Σιλβανός < Silvanus და სხვ.). ხშირად გვაქვს პარალელური ფორმებიც: Σαλ-βία // Σαλ – ουία, Φουλ – βία // Φουλ-ουία, Ὀκτα-βία // Ὀκτα-ουία, Σιλ-βία // Σιλ-ουία (Dornseiff and Hansen 1978, 12, 26). u (v) ფონემის გადმოცემა β-თი სულ უფრო ხშირია ჩვ. წ. I საუკუნიდან. ბერძნულენოვან ებრაელთა ეპიგრაფიკაში შემონახულია ამ სახელის შემდეგი ფორმები: Flavia – Φλαβία / Φλαβιας / Φλαουια, Flaviana – Φλαβιανη, Flavius – Φλαβιος / Φλαουιος (Ilan 2008, 739). როგორც ითქვა, ამ პერიოდში au ფონემას რეგულარულად წარმოადგენს au, მაგრამ მისი ალტერნატიული, გავრცობილი ფორმებია aou, aous და აφ [aw > af] ფორმა. ეს უკანასკნელი იმაზე მეტყველებს, რომ დიფთონგის მეორე ელემენტი w თანხმოვნად იყო აღქმული (Gignac 1975, 188, 229–30). რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, გვხვდება ორივე ორთოგრაფიის კომბინაციაც: Φλαουβίους / Φλαυβίας < Flavius/-a (ახ. წ. 120 წ.) (Gignac 1975, 68–7-, 231). სწორედ ასეთ ფონეტიკურ შემთხვევასთან უნდა გვქონოდა საქმე Σουβαρμάχιოს-ის შემთხვევაშიც, სადაც ლათ. Sauromaces-ის av/u კომპლექსიდან ბერძნულში უნდა მიგველო გაორმაგებული კომბინაცია აουფ, მაგრამ აის გამარტივდა ou-დ, შედეგად კი α ხმოვანმა სიტყვის თავიდან ადგილი ინაცვლა β და ρ თანხმოვნებს შორის, როგორც თანხმოვანთგასაყარმა. ამავე დროს, ლათინურის მოკლე o ხმოვანი ნარნარი r / ρ-ს შემდეგ საერთოდ დაიკარგა. რაც შეეხება ლათინურ c-ს, ის, როგორც წესი, ბერძნულში κ-დ გადმოდის, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც გარკვეულ პოზიციებში მკვეთრი ყრუ ბგერა κ ყრუ ფშვინვიერ χ-ში გადადის, მათ შორის სონორებისა და ნაზალური ბგერის წინ ან – მათ შემდეგ: μικρόν > μιχρόν, ἀνόκωα > ἀνόχωα, τέκνον > τέχνον და სხვ. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც κ > χ, χ > κ მონაცვლეობა ყოველგვარი კანონზომიერების გარეშეც ხდება როგორც სიტყვის თავში, ასე – სიტყვის შუაში, ხმოვნებს შორის: ἀράκων > ἀράχων, εὐκαίρας > εὐχαίρας, ἀντιδικός > ἀντιδίχος, ὑποθήκην > ὑποθήχην და სხვ. (Gignac 1975, 90–92). Sauromaces > Σουβαρμάχιος პროცესში სწორედ ასეთი შემთხვევაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული β ბგერა ადრინდელ ნათარგმნ ქართულ ტექსტებში „ბ“-დ არის გადმოცემული, მერმინდელეებში კი „ვ“-დ (ბასილი – ვასილი). ბერძნული χ ბგერა, ადრინდელ ეტაპზე, ნათარგმნ ძველქართულ ძეგლებში „ქ“-დ გადმოდიოდა, მაგ. ქრისტე, მიქაელ და სხვ.,

მაგრამ შემდგომ თავს იჩენს „ხ“; მაგ. მიხაელ, ხარლამპი, პროხორე და სხვ. (შანიძე 1976, 29). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლათინიზებული Sauromaces ფორმიდან მისი ბერძნული ვარიანტის მიღების მთლიანი ფონეტიკური პროცესი ასე წარმოგვიდგება: Sauromac-es > Σαουρμαχ+ιος > Σουβαρ(ο)μαχ+ιος > Σουβαρμαχ+ιος, რაც ქართულად გაიჟღერებდა როგორც „სუზარმაქიოს“ ან, ზეპირ მეტყველებაში შესაძლოა, როგორც – „სუვარმაქიოს“; „სუვარმაქიოს“.

მაგრამ, ისმის ლეგიტიმური კითხვა: ნუთუ ევნაპიმ, თავისი დროის ერთ-ერთმა განათლებულმა სოფისტმა და რიტორმა, ბერძნული და ლათინური ენების შესანიშნავმა მცოდნემ, ვერ მოახერხა სახელის ბერძნულ ენაზე სწორად ჩაწერა? ჩემი ღრმა რწმენით, ევნაპიმ ბერძნული ენის მთელი ეს ზემოთ აღწერილი ფონეტიკური შესაძლებლობები შეგნებულად, თავისი ლიტერატურული მიზნის განსახორციელებლად გამოიყენა, რასაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავ.

ამრიგად, ნათელი გახდა რამდენიმე საკითხი: 1. ბერძნული Σουβαρμαχ+ιος / სუვარმახიოსი, ლათინური Sauromaces და ქართული საურმაგ-ი ერთი და იგივე სახელია; 2. ევნაპი სარდელის Σουβαρμαχ+ιος / სუვარმახიოს მომდინარეობს ლათინური Sauromaces / სავრომაკე-დან, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს ქართულ-სპარსული საურმაგ-იდან; 3. ქართული „საურმაგ“-ის მნიშვნელობა იხსნება ძვ. ირანული ეტიმოლოგიით: *Sawa = ძლიერი + – arm = მკლავი + კნინობითი აფიქსი ak(a) და ნიშნავს „ძლიერ მკლავს“.

ევნაპის Σουβαρμαχ+ιος = ამიანეს Sauromaces?

ვინ იყო სუზარმაქიოსი, როგორ მოხვდა ის საიმპერატორო კარის ერთ-ერთ უმაღლეს სამხედრო თანამდებობაზე და როგორ მოიპოვა აღმოსავლეთ იმპერიის ფაქტიური მმართველის, საჭურის ევტროპიუსის ასეთი ნდობა? რას უნდა ნიშნავდეს ევნაპის სიტყვები, რომ ის იყო „ნამდვილი კოლხი, ფაზისისა და თერმოდონტის გადაღმა მცხოვრები“? რომელი „სამეფო გვარის“ წარმადგენელი უნდა ყოფილიყო ის? აი, ეს არის მთავარი კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვს. ქვემოთ შევეცდები, რომ სწორედ ამ კითხვებს გავცე პასუხები. თუმცა, ამისთვის რომი-სპარსეთის დაპირისპირების ფონზე, ქართლის სამეფოს ისტორიის მცირე ექსკურსი იქნება საჭირო.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სახელით – „საურმაგ“ მთელი IV ს-ის განმავლობაში და, მითუმეტეს, მის მიწურულს, არც ქართულ და არც ბერძნულ-ლათინურ საისტორიო წყაროებში არავინ გვხვდება, გარდა ამიანე მარცელინუსთან მოხსენიებული სავრომაკესი. მასზე ლაპარაკია IV ს-ის 60-70-იანი წლების რომის იმპერიისა და ირანის კავკასიაში

სამხედრო დაპირისპირებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ევნაპის Σοῦβαρμάχοις და ამიანეს Sauromaces ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. ვნახოთ, რა ვიცი მის შესახებ ამიანეს ისტორიიდან:¹⁰

363 წლის ივლისში, რომის იმპერიის ირანთან მარცხისა და იმპერატორ იულიანეს სიკვდილის შემდგომ, ახლად არჩეულ იმპერატორ იოვიანესა (27 ივლისი, 363) და ირანის შაჰ შაპურ II-ს (309-379) შორის დადებული 30 წლიანი, ე.წ. სამარცხვინო ზავის (1 ივნისი, 363) თანახმად, რომმა, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ტერიტორიულ დათმობებთან ერთად, ვალდებულება აიღო, რომ არ ჩაერეოდა სომხეთის საქმეებში და არ დაეხმარებოდა მათ ირანელებთან ბრძოლაში. ივარაუდება, რომ ზავის პირობებში იბერიაზე ლაპარაკი არ ყოფილა, მაგრამ ჩანს, რომ იგი კვლავ რომის მოკავშირედ რჩებდა. იოვიანეს უეცარი გარდაცვალების (17 თებერვალი, 364) შემდეგ ტახტზე ავიდა ვალენტინიანე I (26 თებერვალი, 364), რომელმაც თავის ძმას, ვალენტს ძალაუფლება გაუყო და იმპერიის აღმოსავლეთის მმართველად დანიშნა (28 მარტი, 364). ვალენტის გამეფებიდან მალევე შაპურ II თავისი მომხრე სომეხი ნახარარების ხელით საომარ ქმედებებს იწყებს სომეხთა მეფის, არშაკ II-ის წინააღმდეგ (Amm. XXIII, 2, 2; 3, 5). არშაკმა, მოვსეს ხორენაცის თანახმად, ქართველებთან კავშირი შეკრა და მათი დახმარებით თავი გარკვეული ხნით კავკასიის მთებს შეაფარა. მისი არყოფნის დროს ნახარარებმა მეფის დაარსებული ქალაქი არშაკავანი დაანგრის. მათზე შურის საძიებლად არშაკი უკან ქართლის ჯართან ერთად დაბრუნდა და ნახარარებს შეებრძოლა (ხორ. III, 27, 29¹¹). ეს ამბები 364-366 წლებით თარიღდება (Lenski 2002, 167-68; Lenski 2007, 95-127), რა დროსაც ქართლის სამეფო ტახტზე, მოქცევად ქართლისაჲ-ს თანახმად, თრდატ რევის ძე უნდა მჯდარიყო (ქართლის ცხოვრების მიხედვით, იგივე – მირდატ, ძე ბაქარისი. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ) (Amm. XXVII.12.2).

10 ამიანე მარცელინეს რომი-სპარსეთის დაპირისპირების აღწერისას, ტრადიციულად, მკვლევრები, მათ შორის ქართული ისტორიოგრაფიაც, ეყრდნობოდა ო. ზეეკის მიერ შემუშავებულ ქრონოლოგიას (Seeck 1906, 520-21, 523, 525). თუმცა ბოლო წლებში, ნ. ლენსკის კვლევებმა ამ ქრონოლოგიაში ცხადყო რიგი ხარვეზებისა, რის შედეგადაც მან შემოგვთავაზა მოვლენათა ქრონოლოგიის უახლესი ვარიანტი (Lenski 2002, 167-68; Lenski 2007, 95-127), რომელიც დღესდღეობით სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს დასავლურ საისტორიო მეცნიერებაში. ძირითად ტექსტში ვუთითებ ნ. ლენსკის თარიღებს, მაგრამ, სათანადო ადგილას, სადაც ეს საჭიროა, იქვე აღვნიშნავ ზეეკის დათარიღებასაც.

11 იხ. მოვსეს ხორენაცის ისტორიის გამოცემები: Khorenats'i 1978, 282, 285; ხორენაცი, 1984, 198-99, 200-201. იხ ასევე, ნარკვევები 1973, 78.

367 წელს (ზეეკით – 368) შაპური უკვე ღია აგრესიაზე გადავიდა და ჯერ სომხეთში შეიჭრა, სადაც არშაკ II შეიპყრო და ტყვედ წაიყვანა (Amm. XXVII.12.3), არმენიის გამგებლობა კი საჭურის კილაკეს და არტაბანს, მის მხარეზე გადასულ სომეხ დიდებულებს ჩააბარა (Amm. XXVII.12.5). მათ დაევალებათ ციხე-სიმაგრე არტოგერასას ალყა, რომელსაც თავი შეაფარა დედოფალმა ფარანჯემმა (არშაკის მეუღლე), თავის ვაჟთან, პაპთან ერთად და სადაც არშაკის დიდძალი საგანძური ინახებოდა. რაც შეეხება იბერიას, მან აქედან გააძევა რომაელების მიერ გამგებლად დანიშნული სავრომაკე და მის მაგივრად მეფედ ვინმე ასფაგური დააყენა (Amm. XXVII.12.4), რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ვარაზ-ბაკურთან და „ქართლის ცხოვრების“ ვარაზ-ბაქართან აიგივებენ. ამიანე მარცელინე ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „ამის შემდეგ, რათა ღალატით აღარაფერი დარჩენოდა [შაპურს; ნ.ნ.] შეუბღალავი, სავრომაკი გააძევა, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას, და ამ ხალხის გამგებლობა ვინმე ასფაგურს გადასცა; თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი გადაწყვეტილებისადმი შეურაცხყოფა მიეყენებინა“ (XXVII. 12.4; ყაუხჩიშვილი 1961, 125).¹²

367–368 წლის (ზეეკით – 368-369) ზამთარში კილაკე და არტაბანი ჯერ ცდილობდნენ, დედოფალი ფარანჯემი დაერწმუნებინათ, რომ ციხე სპარსელებითვის ჩაებარებინა, მაგრამ, საბოლოოდ, მათ აზრი შეიცვალეს, ფიცით შეეკვრნენ დედოფალს და მის მცველ რაზმებთან ერთად გაანადგურეს მოალყე სპარსელები. ამავე პერიოდში, არშაკის შვილი პარა (პაპი) დედის ჩაგონებით რომაელებთან გაიქცა (Seeck 1906, 520–21, 523, 525; Lenski 2002, 167–68; Lenski 2007, 95–127).

368 წელს იმპერატორმა ვალენტმა პაპი საპატიო ლტოლვილის რანგში მიიღო და დროებით ადგილსამყოფლად პონტოს ნეოკესარია მიუჩინა (Amm. XXVII.12.9). 368-369 წლის ზამთარში კილაკემ და არტაბანმა ელჩობა გააგზავნეს იმპერატორთან და სთხოვეს მათ მეფედ პაპი დაეყენებინა. იმპერატორი პაპის გამეფებას არ დათანხმდა, მაგრამ 369 წელს იგი სარდალ ტერენციუსთან ერთად გააგზავნა

12 ლენსკის მტკიცება ემყარება, სხვათა შორის, იმ არგუმენტსაც, რომ თემისტოისის მე-8 ორაციოში, რომელიც მან 368 წლის მარტში წარმოსთქვა, იმპერატორის სამსახურში ჩამდგარ აღმოსავლელ უფლისწულში პარა / პაპი იგულისხმება, მაგრამ თვით მე-8 ორაციოს და მასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების დეტალური ანალიზით მტკიცდება, რომ ანონიმ აღმოსავლელ უფლისწულში ბაკურ იბერიელი უნდა იგულისხმებოდეს (ვრცლად ამის შესახებ იხ. ნიკოლოზიშვილი 2010, 123–38; მოგვიანებით, იმავე დასკვნამდე დამოუკიდებლად მივიდა ნ. პრუდომი: Preud'homme 2017, 173–80. უფრო ადრე მსგავსი მოსაზრება გამოთქმული აქვთ სხვა მეცნიერებსაც: Tillemont 1720, 90–91; Hoffmann 1978, 314; Heather and Matthews 1991, 28 შენ. 56; Vanderspoel 1995, 170 შენ. 54). მიუხედავად ამისა, ლენსკის თარიღი, ზოგადად, მისაღებია და ჩემს მოსაზრებას საკითხთან დაკავშირებით არ ეწინააღმდეგება.

სამშობლოში, რათა დროებით განეგო არმენია, სამეფო ინსიგნიების გარეშე (Amm. XXVII.12.9-10). ამ ამბით გამძვინვარებული შაპური კვლავ შეიჭრა არმენიაში და მოაოხრა მისი დაბეები და ქალაქები. შეშინებული პაპი, კილაკესთან და არტაბანთან ერთად, გაიქცა და მთებს შეაფარა თავი, რომლებიც რომაელთა ტერიტორიასა და ლაზიკას შორის მდებარეობდნენ (Amm. XXVII.12.11). 369-370 წლის ზამთარში შაპურმა არტოგერასას ალყა შემოარტყა. ამჯერად გარნიზონმა ალყას ველარ გაუძლო და ციხე-ქალაქი შაპურს ჩაბარდა, რომელმაც ქალაქი გადაწვა, ხოლო დედოფალი ფარანჯემი, არშაკის განძთან ერთად, სპარსეთში წაიყვანა (Amm. XXVII.12.12). ამ ამბების გამო იმპერატორმა დუნაიდან სარდალი არინთეუსი გააგზავნა არმენიაში, რათა თავიდან აეცილებინა იქ შაპურის ხელახალი აგრესია (Amm. XXVII.12.13). ამასობაში შაპურმა შუამავლების მეშვეობით საიდუმლო მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო პაპთან და მომავალში მოკავშირეობის შეპირებით ურჩევდა თავიდან მოეშორებინა კილაკე და არტაბანი. პაპი დაჰყვა შაპის რჩევას, რომელიც უფრო მოთხოვნა იყო, კილაკე და არტაბანი მოაკვლევინა და მათი თავები, მორჩილების ნიშნად, შაპურს გაუგზავნა (Amm. XXVII.12.14).

370 წლის გაზაფხულზე არინთეოსი არმენიაში ჩავიდა და მასთან შესაძლო შეტაკების თავის არიდების მიზნით სპარსელები ამჯერად იმპერატორთან ელჩობის გაგზავნით შემოიფარგლნენ. ზავის პირობების თანახმად, მათ რომაელებს მოსთხოვეს, თავი შეეკავებინათ არმენიელების დაცვისაგან (Amm. XXVII.12.15). სპარსელებს თხოვნაზე უარი ეთქვათ და უფრო მეტიც, 370 წლის გაზაფხულზე ან ზაფხულში, ქართლიდან შაპურის მიერ გაძევებული სავრომაკე, რომაელთა ლეგიონებისა და სარდალ ტერენციუსის დახმარებით, სამშობლოში დააბრუნეს (Amm. XXVII. 12. 10, 16). როდესაც სავრომაკე მდ. მტკვარს მიუახლოვდა, სპარსელების მიერ ქართლის მეფედ დადგენილმა ასფაგურმა (რესპ. ვარაზ-ბაკურმა/ბაქარმა), მასთან მოლაპარაკება დაიწყო. მისი თქმით, მას არც გადადგომა შეეძლო და არც რომაელთა მხარეს გადასვლა, რადგან მისი შვილი ულტრა შაჰს მძევლად ჰყავდა. ამიტომ, სავრომაკეს სთავაზობდა, რომ, როგორც ბიძაშვილებს, ქართლის სამეფო ორად გაეყოთ: „ისე, რომ საზღვრად შუაში მდინარე კიროსი [ანუ მტკვარი; ნ.ნ.] დადებულიყო და სავრომაკეს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე [მხარე] რგებოდა, ასფაგურს კი – ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე“ (ყაუხჩიშვილი 1961, 130). იმპერატორი, შემდგომი დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად, დათანხმდა იბერიის ორად გაყოფას (Amm. XXVII.12.17). ამას, ბუნებრივია, შაპურის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა და 370-371 წლის ზამთარში მისმა ელჩობამ

რომაელებთან გააპროტესტა როგორც არმენიელების დახმარება, ასევე – მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე იბერიის გაყოფა (Amm. XXVII.12.18). 371 წელს სპარსელები კვლავ შეიჭრნენ არმენიაში და გაზაფხულზე, მათა და რომაელებს შორის რამდენიმე ლოკალური შეტაკების შემდეგ, წლის მიწურულს, მხარეებმა დროებით ზავი დადეს (Amm. Marc. XXIX.1.1-4).

373-374 წლებში არმენიის მეფე პაპი მისი მოწინააღმდეგე სომეხი დიდებულებისა და რომაელი სარდლის, ტერენციუსის მიერ წაყენებული ცრუ ბრალდებების გამო იმპერატორის მიერ კილიკიის ტარსოსში იქნა გაწვეული, მაგრამ იმპერატორთან აუდიენციას ვერ ეღიროსა. შემდეგ კი, როდესაც გაიგო, რომ არმენიის ტახტზე სხვა მეფის დასმას აპირებდნენ, გაიქცა ტარსოსიდან და არმენიაში დაბრუნდა. 375 წელს წვეულებაზე მოპატიჟებული პაპი რომაელთა სარდალმა ტრაიანუსმა ვერაგულად მოაკვლევინა (Amm. XXX.1.1-23). ამ ამბებით შეშფოთებულმა შაპურმა იმპერატორს ელჩობა გაუგზავნა და მოსთხოვა არმენიის მთლიანად დატოვება და თუ ის ამას არ დათანხმდებოდა, მაშინ იბერიის გაყოფის დასრულებას, სამეფოს მთლიანად ასფაგურისთვის გადაცემას და რომაული, ანუ სავრომაკეს მმართველობაში მყოფი ნაწილიდან გარნიზონების გაყვანას მოითხოვდა. ორივე მოთხოვნაზე შაპურის ელჩმა ვალენტისგან უარი მიიღო (Amm. XXX.2.1-3). 376 წელს ვალენტმა ცხენოსანი ჯარის სარდალი ვიქტორი და მესოპოტამიის სარდალი ურბიციუსი შაპურთან ელჩებად გააგზავნა, ერთადერთი მკაცრი მოთხოვნით, რომ მას არმენიელებისთვის საშუალება მიეცა, თავიანთ ნებაზე ეცხოვრათ და მომავალი წლის დამდეგისთვის სავრომაკეს მცველი რომაული რაზმებისთვის იბერიაში დასაბრუნებლად ხელი არ შეეშალა, თუ არადა, იმპერია ძალით გააკეთებინებდა შაპურს იმას, რისი გაკეთებაც მას არ სურდა (Amm. XXX.2.4). 376-377 წლის ზამთარში სპარსელთა კიდევ ერთმა ელჩობამ უშედეგოდ ჩაირა და რომაელებმა, ზამთრის შესუსტებისთანავე, ომისთვის სამზადისი გამოაცხადეს. შაპურმაც მიიღო ეს გამოწვევა და თავის სარდლობას დაავალა არმენიაში დათმობილი მიწები ხმლით უკან წამოეღოთ და სავრომაკეს დასაცავად გამწესებული ჯარებისთვისაც ზიანი მიეყენებინათ (Amm. Marc. XXX. 2. 6-7). სპარსელებმა ჩანაფიქრი დაუბრკოლებლად შეასრულეს, რადგან სწორედ ამ დროს თრაკიას გოთები შემოესიენ (Amm. XXX.2.8). იმპერატორი იძულებული გახდა, არმენიის საკითხზე შაპურთან შეთანხმების მისაღწევად ცხენოსანთა სარდალი ვიქტორი გაეგზავნა, თვითონ კი 377 წლის მიწურულს, ან 378 წლის დასაწყისში გოთების წინააღმდეგ საბრძოლველად ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში გაემგზავრა (Amm. XXI.7.1).

აი, ასეთია სავრომაკეს ისტორია IV საუკუნის 60-70-იანი წლების რომი-სპარსეთის სამხედრო და დიპლომატიური დაპირისპირების ფონზე. ქართულ საისტორიო წყაროების – არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს და არც „ქართლის ცხოვრების“ მეფეთა სიებში სავრომაკე არ იხსენიება. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მეფეთა სიის თანახმად, ვარაზ-ბაკურის მეფობა, რომელსაც ასფაგურთან სამართლიანად აიგივეებენ,¹³ თრდატ რევის ძის და ბაკურის ძმის მეფობას მოსდევს, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ მეფეთა სიის თანახმად, ვარაზ-ბაქარის (იგივე ვარაზ-ბაკური, ასფაგური) მეფობა მოსდევს მირდატის (მირიანის ძის, ბაქარის ძე) მეფობას. ცხადია, რომ თრდატი და მირდატი ერთი და იგივე პიროვნებაა, მიუხედავად იმ გენეალოგიური არეგ-დარევისა, რომელიც, ჩემი აზრით, „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორმა მოგვიანებით შემოიტანა (ამის გარჩევას ამჯერად აქ არ შევუდგებით, რადგან ჩვენი საკითხისთვის მას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს). სწორედ ამ თრდატ / მირდატისა და ასფაგურ / ვარაზ-ბაკურ / ვარაზ-ბაქარის მეფობას შორის და, ნაწილობრივ, ამ უკანასკნელის პერიოდშიც იგულისხმება სავრომაკეს მეფობა. როგორც ვნახეთ, სავრომაკეს ასპარეზზე შემოსვლა, ამიანე მარცელინესთან 367 წლით თარიღდება. ამ წელს ის უკვე რომაელების შემწეობით ქართლს განაგებს, მაგრამ უცნობია, თუ როდის უნდა დაესვათ რომაელებს იგი ქართლში. ამ თარიღის გარკვევაში ისევ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონოლოგია გვეხმარება, სადაც ვკითხულობთ:

და დაჯდა მეფედ ბაკურ, ძმ რევისი. და მოკუდა იოვანე ებისკოპოსი და დაჯდა იაკობ, მღვდელი იგი მუნით-ვე მოსრული, მთავარეპისკოპოსად. და ოცდამესამესა წელსა აღმართებითგან პატიოსნისა ჯუარისა შეუქმნა კუბად რევ და შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა. და მოკუდა[ა] რევ და დაემარხა ცოლითურთ. და შემდგომად მისა, მეათესა წელსა, ამან ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განიშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა. და მოკუდა და დაეფლა ქუემოსა ეკლესიასა. და დაჯდა მეფედ ძმად მისი თრდატ. და მთავარეპისკოპოსი იყო ნერსე სომეხთა კათალიკოზისა დიაკონი იობ. და მეფემან რუდსთვისა რუდ გამოილო და ეკლესიისა საფუძველი დადვა. და მის ზე-ვე ნეკრესს კახეთისასა ეკლესიად აღიშენა განსრულებით. და შემდგომად მისა დადვა ვარაზ-ბაკურ მეფედ... (მოქცევაჲ 1979, 324–25)

აქ მოვლენათა ქრონოლოგიის ათვლის წერტილია „პატიოსანი ჯვრის აღმართება“, რომელშიც ეჭვი არაა, მცხეთაში ჯვრის აღმართვის თარიღი იგულისხმება, რასაც, 326 წლის გაზაფხულზე ჰქონდა

13 ამ საკითხზე რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება აქვს მ სანაძეს. ის ვარაზ-ბაკურის მეფობას 385/390-405 წლებში ათავსებს (სანაძე 2019, 385-86).

ადგილი (ნიკოლოზიშვილი 2006, 156–60). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდული ვერსიისგან განსხვავებული ქრონოლოგიური მონაცემებია ჭელიშურ და სინურ (Sin. – 48) ვერსიებში. ამ ვერსიების თანახმად, ბაკურს წილკნის ეკლესია განუსრულებია პატიოსანი ჯვრის აღმართებიდან „ოცდამეათერთმეტე“ წელს (მოქცევაჲ 1963, 91; მოქცევაჲ 2007, 16).

მემატიანის ცნობა, რომ წილკნის მშენებლობა ბაკურმა „განიშორა“, ანუ გაასრულა „ოცდამეათერთმეტესა წელსა“, ხოლო ჭელიშურითა და სინურით – „ოცდამეათერთმეტესა წელსა“, უნდა გავიგოთ არა ისე, რომ ეკლესია 35 თუ 31 წელი შენდებოდა, არამედ ისე, რომ წილკნის მშენებლობა დასრულდა 35-ე, ან 31-ე წელს „აღმართებითგან პატიოსნისა ჯუარისა“. შესაბამისად, წილკნის ეკლესიის დასრულება და ბაკურის გარდაცვალება მოვა 357 (326+31) ან 361 წელზე (326+35).¹⁴ მიუხედავად „მოქცევაჲ“-ს რედაქციების სხვადასხვა ქრონოლოგიური მონაცემებისა, მე უპირატესობას შატბერდული რედაქციის მონაცემს ვანიჭებ (ამის მიზეზების განხილვისგან ამჯერად თავს შევიკავებ და შევეცდები, მას სხვა დროს შევეხო). აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ მერიბანესი, რომელსაც ამიანე მარცელინე 360 წლის ბოლოს თუ 361 წლის დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით ახსენებს (Amm. XXI.6.8), შესაძლოა ბაკურ რევის ძე („ქართლის ცხოვრებით“

14 თუ გავიხსენებთ, კარგად ცნობილ ფაქტს, რომ გიგანტური და ურთულესი არქიტექტურის კონსტანტინოპოლის აია-სოფიის ეკლესიის მშენებლობას იუსტინიანემ 5 წელი მოანდომა, მაშინ უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, რომ მასთან შედარებით ზომეებითაც და არქიტექტურული სირთულითაც მოკრძალებული და ბაზილიკური (მით უმეტეს, უმარტივესი დარბაზული ტიპის, თუ ეს დარბაზულ ეკლესიას ეხება) წილკნის ეკლესიის მშენებლობისთვის ბაკურს 2 წელი მოუნდომებია (წილკნის სამონასტრო კომპლექსისთვის იხ. მჭედლიშვილი 1984, 3–4; ანდლულაძე 1984, 67–74; კინწურაშვილი და სხვები 1990, 339–342). წილკნის ეკლესიის მშენებლობისთვის 2 წელი სრულიად ლოგიკურია, თუ გავიხსენებთ, რომ მირიან მეფემ ოთხი წელი მოანდომა მცხეთის „ზემო ეკლესიის“ მშენებლობას: „და წარვიდა მირიან მეფე და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ქვითა. და განიშორეს მეოთხესა წელსა“ (მოქცევაჲ 1979, 324). კონსტანტინე დიდის მიერ აშენებული ორმოცზე მეტი ბაზილიკიდანაც (რომელთაგან ბევრი გრანდიოზული ზომის იყო), უმრავლესობის მშენებლობას ორიდან ათ წლამდე დასჭირდა, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში – 15 ან ცოტა მეტი, მაგრამ არა 30 და 35 წელი (Armstrong 1967, 1–9). ჩვენშიაც, ბოლნისის სიონის მშენებლობის ხანგრძლივობა 15 წელი ივარაუდება (შოშიაშვილი 1980, 64–66; მაჭავარიანი 1985, 3–4, 20, 24–27). შეიძლება ვიფიქროთ, რომ წილკნის ეკლესიის დროულად დასრულებას გარკვეულმა ისტორიულმა მოვლენებმა შეუშალეს ხელი, მაგრამ ამისთვის არავითარი მყარი საფუძველი არ არსებობს, რადგან ეს პერიოდი ქართლის სამეფოს ისტორიაში შედარებით მშვიდია და ბაკური / ბაქარი წარმატებით ეწევა საეკლესიო აღმშენებლობას: „ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად. ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა“ (მეფეთა ცხოვრება 1955, 131).

– ბაქარ მირიანის ძე) იყოს, თუმცა, შესაძლოა მისი მომდევნო მეფე თრდატიც.¹⁵ მაშინ გამოდის, რომ თრდატ რევის ძის („ქართლის ცხოვრებით“ – მირდატ ბაქარის ძე) მეფობა თავსდება 361-367 წლებს შორის. მას აუგია „განსრულებით“ ნეკრესის ეკლესია კახეთში (სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჭაბუკაურის ბაზილიკა (ბახტაძე და სხვები 2020, 82)), ხოლო რუსთავში არხი გაუყვანია და ეკლესიის მხოლოდღა საფუძველი დაუდგია, რაც ადასტურებს იმას, რომ მისი მეფობა შედარებით ხანმოკლე ყოფილა.¹⁶ ეს სწორედ ის წლებია, როდესაც რომი-სპარსეთის ახალი სამხედრო დაპირისპირება დაიწყო და, მოვსეს ხორენაცის თანახმად, ამ დაპირისპირებაში ჩართულ სომხეთის მეფე არშაკს (ამიანესთან – არსაკეს) თრდატმა მოკავშირეობა გაუწია: ჯერ კავკასიის მთებს შეაფარებინა თავი, ხოლო შემდეგ არშაკის წინააღმდეგ აჯანყებულ ნახარებთან საბრძოლველად ჯარიც მიაშველა (იხ. ზემოთ). ჩემეულ ქრონოლოგიურ რეკონსტრუქციას ისიც ასაბუთებს, რომ თრდატის დროს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თანახმად, მცხეთის „მთავარებისკოპოსი იყო ნერსე სომეხთა კათალიკოზისა დიაკონი იობ“ („ქართლის ცხოვრებით“: „მის-ზე [მირდატის; ნ.ნ.] მოკუდა იაკობ ეპისკოპოსი, და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოსისა დიაკონი“). მოვსეს ხორენაცი წერს, რომ ქართველთა ჯარით შინ დაბრუნებული არშაკი ნერსე კათალიკოსს მოციქულად აგზავნის იმპერატორ ვალენტთან მისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. არიანელმა იმპერატორმა არც არშაკის წერილი წაიკითხა და არც ნერსე მიიღო და ანტიარიანული საეკლესიო პოლიტიკის გამო ის უკაცრიელ კუნძულზე გადაასახლა. მანამდე კი, იმპერატორის კარზე გამგზავრებამდე, ნერსესმა დიაკონ ხადის ბაგრევანდისა და არშარუნიქის ეპისკოპოსად ხელი დაასხა და თავის დაბრუნებამდე ყველა საქმის განგება მას დაავალა (ხორ. 3, 29–31). იგივე ამბავს მოგვითხრობს ფავსტოს ბუზანდი, მხოლოდ მისი მოთხრობა უფრო მეტადაა გაჯერებული რელიგიური დეტალებითა და

15 დღესდღეობით, როგორც ქართულ, ასევე დასავლურ მეცნიერებაში გაბატონებულ აზრს, რომ, თითქოსდა, 360-361 წლის ამბებთან დაკავშირებით ამიანე მარცელინესთან მოხსენიებული „მერიბანესი“ და ქართლის პირველი ქრისტიან მეფე მირიანი ერთი და იგივე პირია, გარდა სახელის უღერადობით მსგავსებისა, არავითარი ისტორიული საფუძველი არ აქვს (ასევე ფიქრობს მ. ჩხარტიშვილიც. იხ. 2018, 103-04, იქვე შენ. 29). თუ რატომ იხსენიებს ამიანე ამ მეფეს „მერიბანესად“, ამ საკითხს სხვა წერილში დავუბრუნდები. ვ. გოილაძე ამიანეს მერიბანესს „ქართლის ცხოვრების“ მირდატ ბაკურის ძესთან აიგივებს (გოილაძე 1990, 81); მ. ჩხარტიშვილი – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თრდატ რევის ძესთან (ჩხარტიშვილი 2018, 105–06), თუმცა, ჩემი აზრით, სწორად არის შენიშნული, რომ მირდატი და თრდატი ერთი და იგივე პიროვნებაა.

16 საქართველოში ეკლესიათა მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ რამდენიმე მაგალითისთვის იხ. თუმანიშვილი და ნაცვლიშვილი 2012, 149–51.

მსუყე პატრიოტული მჭევრმეტყველებით (ფავსტ. 4, 5, 6, 8, 12). მთელ ამ ამბავს ზღაპრული ელფერი რომ ჩამოვაცილოთ, გამოჩნდება, რომ ნერსე კათალიკოსის დიაკვნის, იობის მცხეთის მთავარეპისკოპოსად დანიშვნაც ქართლსა და სომხეთს შორის ანტიარიანული, კოორდინირებული საეკლესიო პოლიტიკის ნაწილი იყო. იობ დიაკვნის მცხეთის მთავარეპისკოპოსად დანიშვნაც ნერსესის იმპერატორთან გამგზავრების წინ, 364-366 წლებში უნდა მომხდარიყო, რადგან ვალენტი 364 წლის მარტის ბოლოს გამეფდა, ხოლო 367 წელს ქართლის გამგებლად უკვე საურმაგია. ჩვენ შეგვიძლია ეს თარიღი კიდევ უფრო დავაზუსტოთ, რადგან ცნობილია, რომ ვალენტმა 365 წლის 5 მაისს გამოსცა ედიქტი, რომლითაც კვლავ გადასახლებას დაექვემდებარნენ ის ანტიარიანელი ეპისკოპოსები, რომლებიც, თავის დროზე კონსტანციუს II-მ (337-361) გადაასახლა და იულიანე განდგომილმა (361-363) უკან დააბრუნა (Snee 1985, 413-414). იგივე იობი მთავარეპისკოპოსი იყო ვარაზ-ბაკურის დროსაც, რაც ნიშნავს იმას, რომ სავრომაკეს, სრულიად ქართლის სამეფოზე თავისი გამგებლობის დროს, იმპერიულ-არიანული საეკლესიო პოლიტიკის გატარება ვერ მოუსწრია, ხოლო სამეფოს დასავლეთი ნაწილის გამგებლობის დროს მცხეთა მის დაქვემდებარებაში ვერ იქნებოდა. ამავე დროს, რომის იმპერატორის ოფიციალური საეკლესიო პოლიტიკის მოწინააღმდეგე, ანტიარიანელი მცხეთის მთავარეპისკოპოსი ეკლესიის სასურველი მეთაური იყო სპარსელების დასმული ასფაგურ / ვარაზ-ბაკურისთვის.

როგორც ვნახეთ, თრდატის ხანმოკლე მეფობის შემდეგ, რომაელებმა ქართლში სავრომაკი დასვეს. თუმცა, რა ვითარებაში მოხდა ეს, ამის შესახებ ამიანე არავითარ დეტალს არ გვაწვდის. ერთადერთი ხელჩასაჭიდი მოვლენათა აღსადგენად არის თემისტოსის VIII ორაციო, რომელიც მან 368 წლის 28 მარტს წარმოთქვა, საიდანაც ჩანს, რომ ახალგაზრდა ქართველ უფლისწულს, შემდგომში რომის იმპერიის ცნობილ სამხედრო მოღვაწეს, ბაკურ იბერიელს ნებაყოფლობით უთქვამს უარი კუთვნილ სამეფო ტახტზე, იმპერატორს ხლებია კარზე და მის სამსახურში ჩამდგარა (ნიკოლოზიშვილი 2010, 123-38; Preud'homme 2017, 173-80). ბაკურის ამ გადაწყვეტილების გამო შეიძლება ორი ვარაუდი გამოვთქვათ: ერთი, რომ მან, როგორც ტახტის ლეგიტიმურმა მემკვიდრემ, სავრომაკეს სასარგებლოდ დათმო ტახტი, რომაელთა მოთხოვნით, თუმცა, ამ შემთხვევაში, როგორც რომაელთა, ასევე ბაკურის მოტივაცია აუხსნელი რჩება; და მეორე – სპარსელების მიერ სავრომაკეს ქართლიდან გაძევების (367) შემდეგ მან, ტახტის ლეგიტიმურმა მემკვიდრემ, სპარსელთა სამსახურში ჩადგომას რომის სამხედრო სამსახურში ჩადგომა არჩია და უარი თქვა კუთვნილ ტახტზე, რის გამოც

სპარსელებს მისი „ვინმე ასფაგურით“ ჩანაცვლება მოუწიათ, რომელიც ტახტის პირდაპირი მემკვიდრე არ უნდა ყოფილიყო. ჩემი აზრით, წყაროთა ცნობების სიმწირის პირობებში, ამ ორივე ვარაუდს, როგორც სამუშაო ვერსიას, არსებობის უფლება აქვს.

ასეა თუ ისეა, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ სავრომაკე რომაელებს ქართლის გამგებლად დაუსვამთ 366 წლის ბოლოს, ან 367 წლის დასაწყისში. რამდენიმე თვეში, 367 წელს, შაპურმა ქართლიდან გააძევა სავრომაკე და მეფედ ასფაგური დასვა. 370 წლის გაზაფხულზე ან ზაფხულში, სავრომაკე, რომაელთა ლეგიონებისა და სარდალ ტერენციუსის დახმარებით, ბრუნდება სამშობლოში და ასფაგურის თხოვნითა და იმპერატორის თანხმობით იყოფს სამეფოს, რომლის დასავლეთი მას ხვდება წილად, აღმოსავლეთი კი – ასფაგურს. რამდენიმეწლიანი მცირე შეტაკებებისა და უშედეგო დიპლომატიური მოლაპარაკებების შემდეგ, 377 წლის გაზაფხულზე ან ზაფხულში, შაპური კვლავ აძევებს სავრომაკეს, ამჯერად უკვე დასავლეთი იბერიის ტერიტორიიდან. ამის შემდეგ მისი ბედი გაურკვეველია, თუმცა, ევნაპი სარდელის ცნობის საფუძველზე მე ვფიქრობ, რომ სავრომაკეს გამეფების ამ უშედეგო მცდელობების შემდეგ ის რომაელთა სამხედრო სამსახურში ჩამდგარა. როგორც დ. ვუდსი ფიქრობს, სუბარმახიოსს, რომელსაც მე ამიანეს სავრომაკესთან ვაიგივებ, Schola palatina-ს ტრიბუნის თანამდებობა 395/399 წლებში უნდა სჭეროდა, რაც მის ბიოგრაფიაში 377-395 წლებს შორის ლაკუნას აჩენს. ვფიქრობ, უსაფუძვლო არ იქნება ვივარაუდოთ, რომ რომაულ სამხედრო სამსახურში მან იგივე გზა გაიარა, რაც ბაკურ იბერიელმა. ჰოფმანის მიხედვით, საწყის ეტაპზე, 368 წლიდან, ბაკური იმპერატორის პირადი მცველის (protector domesticus) საპატიო თანამდებობაზე იყო და მხოლოდ 378 წელს მიაღწია Schola palatina-ს ტრიბუნობას, რომელიც 380-იან წლებში პალესტინის დუქსად დანიშვნამდე ეკავა (Hoffmann 1978, 316). ბაკურის შემდეგ, დაახლ. 380-395 წლებში, ტრიბუნის თანამდებობა ფარასმანესს (მოქცევა ქართლისად-ს მიხედვით – ფარსმანი, ბაკურის მამიდაშვილი, თრდატის დისწული) უნდა სჭეროდა, რომელიც 395-404 წლებში magister militum-ის რანგში დაწინაურდა (Woods 1996, 368). ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ჯერ ბაკურისა და შემდეგ ფარასმანესის სამხედრო კარიერულ კიბეზე დაწინაურებამ სავრომაკე / სუბარმახიოსს გზა გაუთავისუფლა ტრიბუნობამდე დაახლ. 395 წლისთვის, რადროსაც ის აღმოსავლეთ რომის იმპერიის ფაქტიური მმართველის, ევტროპიუსის დაახლოებული პირი გახდა.

ცალკე საკითხია, თუ რატომ არ იხსენიება სავრომაკე / საურმაგი ქართულ მატრიანეთა მეფეთა სიებში. ამიანე მარცელინეს სიტყვე-

ბიდან – „სავრომაკი ... რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას“ – გამომდინარე, სწორად შენიშნავს მ. ჩხარტიშვილი, რომ რომაელებს სავრომაკე არ გაუმეფებიათ და მისთვის გვირგვინი არ დაუდგამთ, რის გამოც ის ქართველ მეფეთა სიაში არ იხსენიება. მაგრამ ვფიქრობ, ამის საფუძველზე იმის მტკიცება, რომ იგი არა სამეფო სახლის წევრი, არამედ სპასპეტთა საგვარეულოდან იყო, გამართლებული არ არის. ამის არგუმენტად ვერ გამოდგება მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახელი „საურმაგი“ ერქვა ვახტანგ გორგასლის მამამძუძეს და სპასპეტს (ჩხარტიშვილი 2018, 109–11). ქართლის მეფეთა სიაში სავრომაკე / საურმაგის არმოსხენიების გამოცანის გასაღები ისევე ამიანე მარცელინის ტექსტშია. ზემოთ უკვე ითქვა, რომ 368-369 წლის ზამთარში, სომეხმა დიდებულებმა, კილაკემ და არტაბანმა ელჩობა გააგზავნეს იმპერატორთან და სთხოვეს სომხეთის მეფედ პაპი დაეყენებინა. იმპერატორი პაპის გამეფებას არ დათანხმდა, თუმცა 369 წელს, იგი სარდალ ტერენციუსთან ერთად გააგზავნა სამშობლოში, რათა დროებით განეგო არმენია, სამეფო ინსიგნიების გარეშე: „ამ ღმობიერებით წათამამებულმა კილაკემ და არტაბანმა მოციქულები გაუგზავნეს ვალენტს და სთხოვეს, რომ იგივე პაპა მათთვის მეფედ დაესვა. მაგრამ დროებით შეწყვნაზე უარი ეთქვათ, ოღონდ პაპა კი უკან იქნა დაბრუნებული არმენიაში სარდალ ტერენციუსის მეშვეობით, რათა ერთ ხანს რაიმე ნიშნების გარეშე განეგო ერი. ეს სამართლიანი პირობა იყო, რადგან აღარ შეეძლოთ დაებრალეხინათ ჩვენთვის ხელშეკრულებისა და ზავის დარღვევა“ (Amm. XXVII.12.9-10). როგორც ვხედავთ, პაპიც, რომელიც სომხეთის ტახტის პირდაპირი და ერთადერთი ლეგიტიმური მემკვიდრე იყო მამის, არშაკის სიკვდილის შემდეგ, რომაელებმა სამეფო ინსიგნიების გარეშე გამოაგზავნეს სომხეთში საგამგებლოდ. ამის ერთადერთი მიზეზი კი რომაელთა დიპლომატიური წინდახედულება და სიფრთხილე იყო, რათა ფორმალური საბაზი არ მიეცათ სპარსელებისთვის, რომ ისინი შეთანხმების დარღვევაში არ დაედანაშაულებინათ. ვფიქრობ სწორედ მსგავსი შეხედულებით ხელმძღვანელობდა რომი, როდესაც ქართლის გამგებლობა სავრომაკეს მისცეს, გვირგვინის დადგმის გარეშე. შესაბამისად, თუ ამიანეს სავრომაკესა და ვახტანგ გორგასლის სპასპეტ საურმაგს შორის ნათესაურ ძაფს მაინც გავაბამთ, ეს არ გამოდგება იმის საბუთად, რომ სავრომაკე, ქართლის გამგებლად დანიშვნამდე, სპასპეტი იყო, თუმცა პირიქით კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სავრომაკეს შთამომავალი, სამეფო გვარის გვერდითი განშტოებიდან იყო ვახტანგ გორგასლის დროინდელი სპასპეტი საურმაგი. ამასთან, ევნაპი სარდელი სუბარმახოსზე, რომლის სახელიც, როგორც ზემოთ ნათლად

გამოჩნდა, სხვა არაფერია, თუ არა სავრომაკე / საურმაგი, ამბობს, რომ იგი იყო „სამეფო გვარისა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სახელი სამეფო საგვარეულოშიც გვხვდება (კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ელინისტური ხანის იბერიის მეორე მეფეს საურმაგი ერქვა).

სუბარმახიოსისა და სავრომაკეს იგივეობაზე მსჯელობისას გასარკვევია ასევე მისი ასაკის საკითხი. ამიანე მარცელინეს მინიშნებაც კი არ აქვს სავრომაკეს ასაკზე, მაგრამ ევნაპი სარდელთან სუბარმახიოსის ასაკზე გარკვეულ მინიშნებას იძლევა. კერძოდ, იგი წერს:

... ამნაირადვე, რაც შეეხება ჭამას, ჩვეულებრივ [კარგად] იტანდა ღონიერი ახალგაზრდული ვარჯიშობის წყალობით. ... სიმთვრალეს კი მაღავედა, თუმცა ბარბაცით მიჰქონდა ფეხები და წაქცევას ებრძოდა თავისი სიახალგაზრდავის წყალობით და მაგრად იღვა.

ბერძნულად:

ἀλλ' ὄμας τὰ περί γαστέρα διὰ συνήθειαν οὔτω καὶ γυμνασίαν ἰσχυρὰν καὶ νεανικὴν πάντα φέρειν ἐπὶ τὴν φυσικὴν τῶν ὑγρῶν ἔκκρισιν. ... τὴν δὲ μέθην παρεκάλυπτε σφαλερὸν διαβαίνων τοῖς ποσὶ, καὶ πρὸς τὴν πτώσιν πολεμῶν ὑφ' ἡλικίας διὰ νεότητα καὶ συυστάμενος.

ამ ტექსტში მნიშვნელოვანია „διὰ νεότητα“-ს საკითხის გარკვევა, რამდენადაც ეს სუბარმახიოსის ასაკის განსაზღვრას ეხება. ჟან ფრანსუა ბუასონადმა (Jean François Boissonade de Fontarabie), ფრანგმა ელინისტმა და ევნაპი სარდელის გამომცემელმა (1822 წ.) აღნიშნა, რომ ამ პასაჟში „διὰ νεότητα“ (= ახალგაზრდობის გამოიოსობით, წყალობით) განმარტების მიზნით ჩართული გვიანდელი კომენტარია (glossema) და ის ამოღებულ უნდა იქნას ძირითადი ტექსტიდან (Boissonade 1822, 522–23). სვიდას ლექსიკონის გამომცემელი და ლათინურ ენაზე მთარგმნელი გოტფრიდ ბერნჰარდი (Gottfried Bernhardt) კი მის შენარჩუნებას გვთავაზობდა, რა შემთხვევაშიც საჭირო იქნებოდა წინადადების ბოლო ნაწილის ისე გადაწყობა, სადაც ὑφ' ἡλικίας მიემართებოდა πολεμῶν-ს, ხოლო διὰ νεότητα კი – συυστάμενος-ს (Bernhardt 1853, 831–32). მართლაც, წინადადება იმ სახით, რა სახითაც ის არის მოცემული „სვიდას“ ლექსიკონში, აშკარად გაუმართავად გამოიყურება. ამას ზოგიერთი ძველი გამომცემელი ითვალისწინებდა და διὰ νεότητα-ს ფრჩხილებში სვამდა: „καὶ πρὸς τὴν πτώσιν πολεμῶν ὑφ' ἡλικίας [καὶ διὰ νεότητα] συυστάμενος.“ (Mullerus 1851, 48). ასევე იქცევა მისი უახლესი გამომცემელიც: „καὶ πρὸς τὴν πτώσιν πολεμῶν ὑφ' ἡλικίας καὶ [διὰ νεότητα] συυστάμενος.“ (Blockley 1983, 106). ეს გარემოება გათვალისწინებულია „სვიდას“ უახლოესი ონლაინ გამოცემის ინგლისურ თარგმანშიც, სადაც ბერძნული ἡλικίας გადმოცემულია როგორც „prime of life“, რაც ადამიანის ასაკის სრულ ფიზიკურ გაფურჩქვნას გულისხმობს, რასაც

მოსდევს განმარტება მისი სიახალგაზრდავის შესახებ: „and battling against falling by using his prime of life, [i.e.] relying on his youth, to brace himself“ (Allen 2009). ბერძნული ἥλικία პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ასაკს, მაგრამ შეიძლება გულისხმობდეს როგორც მოწიფულ ასაკს, დაახლოებით 17-დან 45 წლამდე (Liddell and Scott 1889, 350), ან 18-დან 50 წლამდე (Дворецкий 1958, 749), ასევე ხანში შესულობას და სიბერესაც. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ, სავარაუდოდ, „სვიდას“ ლექსიკონის შემდგენელმა საჭიროდ დაინახა განმარტების მიზნით დამატებინა გლოსემა „διὰ νεότητά“ = „ახალგაზრდობის გამო“. ამას, როგორც ჩანს, ასევე ხელი შეუწყო იმანაც, რომ ცოტა ზემოთ ნათქვამი იყო, რომ სუბარმახიოსი „ლონიერ ახალგაზრდულ ვარჯიშობას“ (γυμνασίαν ἰσχυρὰν καὶ νεανικήν) მისდევდა. ზემოთ თქმულიდან ნათელია, რომ ევენაპის პასაჟის თანახმად, შეუძლებელია კატეგორიულად ვამტკიცოთ, რომ იგი ახალგაზრდა იყო, რადგან ახალგაზრდულ ვარჯიშებს შეიძლება ჯანდონით სავსე 45-50 წლის მამაკაციც მისდევდეს. თუ დავუშვებთ, რომ 367 წელს, როდესაც რომაელებმა სავრომაკე ქართლის გამგებლად დასვეს, ის დაახლოებით 17-20 წლის იყო, მაშინ 395 წლისთვის ის 45-48 წლის იქნებოდა, რაც მოწიფული, ჯან-ღონით სავსე მამაკაცის ასაკია.

ის, რომ რომაელებს შეიძლებოდა სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი გაემეფებინათ ქართლში, სომხეთის ანალოგიითაც შეიძლება გამყარდეს. ამიანე მარცელინე 373-374 წლების მოვლენების აღწერისას ამბობს, რომ პაპი, რომელიც არმენიის გამგებლად უკვე 4 თუ 5 წლის გაგზავნილი იყო, იმხანად დაასაკდა და მას „ყმაწვილად“ (adultus) და „ჭაბუკად“ (Iuvenis) მოიხსენიებს, რაც ნიშნავს, რომ ამ დროისთვის ის ჯერ კიდევ 20 წელს გადაცილებულიც კი არ უნდა ყოფილიყო. რომაული კერძო სამართლით სრულწლოვნად (pubes) ითვლებოდა 14-დან 25 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცი (Kosior 2017, 88-99). ცხადია, რომ, თუ ამიანე იურიდიულ სრულწლოვნებას გულისხმობდა, მაშინ პაპი, რომელიც იმხანად დაასაკდა, 367 წლისთვის 14-15 წლის უნდა ყოფილიყო. თუმცა, აქ ამიანე იურიდიული ტერმინოლოგიით არ სარგებლობს და იყენებს ისეთ არასამართლებრივ ტერმინებს, როგორიცაა adultus და Iuvenis. არაიურიდიულ რომაულ წყაროებში მოცემულია ადამიანის ცხოვრების ეტაპების რამდენიმე ვარიანტი. უძველესი ცნობის თანახმად, რომელიც რომის მეფეს, სერვიუს ტულიუსს (ძვ. წ. 578-534) მიეწერება, ადამიანის ცხოვრება სამ ეტაპად იყოფა: მეორე ეტაპი – სიჭაბუკე (iuventa) – იწყება 17 წლიდან და გრძელდება 46 წლამდე; ბერძნული წარმოშობის რომაელი მედიკოსის, გალენოსის (დაახლ. 129-200 ან 216) ოთხეტაპიანი დაყოფით ახალგაზრდობის

ასაკი 15 წლიდან იწყება და 40 წლამდე გრძელდება; ციცერონის (ძვ. წ. 106-43) ოთხეტაპიანი სქემის თანახმად, სიყმაწვილე (adulescentia) 16 წლიდან იწყება და 33 წლამდე გრძელდება; ვარონის (ძვ. წ. 116-27) ხუთეტაპიანი სქემით სიყმაწვილე (adulescentia) იწყება 15 წლიდან და გრძელდება 30 წლამდე, რომლის შემდეგაც მოდის სიჭაბუკე (iuvenitas) და გრძელდება 45 წლამდე; ბერძნული წარმოშობის ალექსანდრიელი ასტრონომი და სწავლული, პტოლემე (დაახლ. 100-170) თავის შვიდეტაპიან სქემაში სიყმაწვილეს ათავსებს 15-22 წლებს შორის, ხოლო ახალგაზრდულ ასაკს 22-41 წლებს შორის; რომის კათოლიკური ეკლესიის წმინდანი, ისიდორე სევილიელის († 636) ექვსეტაპიანი სქემით სიყმაწვილის (adulescentia) ასაკია 14-28 წლები, ხოლო სიჭაბუკის (iuvenitus) – 28-50 წლები (Kosior 2016, 27-46). აქედან ცხადია, რომ ახლად სიმწიფის ასაკში შესული პაპი, რომაელების მიერ სომხეთის გამგებლად დადგინებისას, ანუ 367 წლისთვის, არანაკლებ 14 და არაუმეტეს 17 წლის იქნებოდა. იგივე ასაკი შეიძლება ვივარაუდოთ სავრომაკე / სუბარმახიოსისთვის მისი იბერიის გამგებლად დადგინებისასაც, ის ევნაპის სიტყვებით, 395 წლისთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდული სიმწიფის ასაკში იმყოფებოდა, რაც, სხვადასხვა იურიდიული და არაიურიდიული წყაროების მიხედვით, მაქსიმუმ 50 წელს ითვალისწინებს. ამრიგად, თეორიული თვალსაზრისით, ამიანეს სავრომაკესა და ევნაპის სუბარმახიოსის გაიგივებისთვის ასაკობრივი საკითხი სერიოზულ დაბრკოლებად ვერ იქნება განხილული.

სუბარმახიოსი, „ნამდვილი კოლხი“ – პოლიტიკური გეოგრაფია და ისტორია

დარჩა ბოლო საკითხი, რომელიც ამგვარ გაიგივებას, ერთი შეხედვით, თითქოსდა შეუძლებელს ხდის. ეს არის ევნაპის მიერ სუბარმახიოსის კოლხად, და მეტიც – „ნამდვილ კოლხად“ მოხსენიება („სამეფო გვარისა იყო, ნამდვილი კოლხი, ფაზისისა და თერმოდონტის გადაღმა მცხოვრები“) მაშინ, როდესაც ამიანე მარცელინე სავრომაკეს იბერიის გამგებლად წარმოგვიდგენს. ჩემი აზრით, ამ წინააღმდეგობას ორნაირი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: ერთი – იმდროინდელი ქართლის სამეფოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა და მეორე – ევნაპი სარდელის მხატვრული სტილი, რომელშიც ის ხშირად მიმართავს მითოლოგიურ თემებს ამა თუ იმ მოვლენისა თუ ისტორიული პირის დასახასიათებლად. დავიწყოთ პირველით: როგორც ამიანე გვამცნობს, 370 წელს, სპარსელების დასმულმა ასფაგურმა და სავრომაკემ, რომის იმპერატორის თანხმობით, ქართლის სამეფო ორად გაიყვეს „ისე,

რომ საზღვრად შუაში მდინარე კიროსი დადებულიყო და სავრომაკეს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე [მხარე] რგებოდა, ასფაგურს კი – ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე”. რა ტერიტორიებს მოიცავდა სავრომაკის წილი ქართლის სამეფო?

გასათვალისწინებელია, რომ გავრცელებული სტერეოტიპი, თითქოსდა ანტიკური იბერია / ქართლი აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, ხოლო კოლხეთი – დასავლეთ საქართველოს, ევნაპი სარდელის დროსაც ისევე მუშაობდა, როგორც დღეს. ხშირად, მწერლები და მეცნიერებიც კი ამ სტერეოტიპს მიმართავენ მისი სიმარტივის გამო. სინამდვილეში, დასავლეთ საქართველოს სამხრეთი ნაწილი, როგორც ჩანს, უძველესი დროიდან (სავარაუდოდ, ელინისტური ხანიდანაც კი) იბერია / ქართლის ნაწილი იყო. ასეა ეს ძვ. ქართული საისტორიო წყაროებით და არც თუ იშვიათად, ამას ანტიკური წყაროებიც ადასტურებენ. როგორც გ. მელიქიშვილი ფიქრობდა, საურმაგის წილი ქართლის სამეფო კლარჯეთს მოიცავდა (მელიქიშვილი, 1958, გვ. 166), თუმცა, ვფიქრობ, დ. მუსხელიშვილმა სწორად შენიშნა, საურმაგის წილი ქართლი არამხოლოდ კლარჯეთს, არამედ მთლიანად ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ანუ გვიანდელ „მესხეთს“ გულისხმობდა (მუსხელიშვილი 2003, 60, 89 შენ. 30; მუსხელიშვილი 1977, 201, 202).¹⁷ ქართლის სამეფოს ამ ნაწილის პოლიტიკური ცენტრი, გარკვეულ პერიოდში, მართლაც კლარჯეთი იყო, გამომდინარე ამ რეგიონის მიუვალი გეოგრაფიული მდებარეობიდან, დაცულობიდან და სავაჭრო გზაჯვარედინებიდან, თუმცა მისი ტერიტორიები ისტორიული კლარჯეთის ფარგლებს დიდად სცილდებოდა. ეს მყარი ტრადიციია და კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრების“ შესავალ ეპონიმიურ ისტორიაში, სადაც ვკითხულობთ, რომ თარგამოსის ძის, ქართლოსის წილი ქვეყნის საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით სპერის ზღვამდე ვრცელდებოდა. „ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“. სპერის ზღვა კი ეწოდება შავი ზღვის იმ ნაწილს, სადაც მდ. ჭოროხი („მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვან ჭოროხი“; მეფეთა ცხოვრება 1955, 24) ზღვაში ჩაედინება. ქართლის სამეფოს ამ ზღვისპირა ნაწილს ასევე ეწოდება „ბოლო კლარჯეთისა“, კერძოდ, ჰერაკლე კეისრის დროინდელი ამბების აღწე-

17 ვ. გოილაძე მიიჩნევს, რომ საურმაგ / სავრომაკეს წილი ქართლი მოიცავდა ტერიტორიას კლარჯეთიდან ხუნანამდე და რომ „კლარჯეთი საურმაგისთვის უნდა წაერთვათ ბიზანტიელებს“ (გოილაძე 1990, 85–86), რაც საფუძველს მოკლებული ჩანს. მაშინ გამოვა, რომ საურმაგისთვის მისი წილი ქართლის ნაწილი (კლარჯეთი) წაურთმევიათ მისსავე მოკავშირეებს და ამავე დროს, მისთვის დაუტოვებიათ ხუნანის ტერიტორია. არცერთი ამ მოსაზრების დამადასტურებელი საბუთი წყაროებში არ ჩანს. თუ რა პირობებში გადავიდა საურმაგ / სავრომაკეს წილი ქართლი რომაელთა ხელში, ამას ქვემოთ შევხვებით.

რისას, ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვს პირი“ (ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა 1955, 226). ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ქართლოსის ძეს, ოძრკოსს ერგო, რომელიც თავის უფროს ძმას, მცხეთოსს ემორჩილებოდა:

ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწჳქვან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა, და უწოდა სახელი თვისი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგვთგან დასავლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა... ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, და შემდგომსა ოძრკოს, და მესამესა ჯავახოს. განუყო მათ ქუეყანა და ნათესავი მათი ყოველი. ოძრკოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრკოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრკე და თუხარისი. (მეფეთა ცხოვრება 1955, 9)

რაც შეეხება თარგამოსის უმრწემეს ძეს, ეგროსს, მისი წილი ქვეყნის საზღვრები ასეა აღწერილი „ქართლის ცხოვრებაში“:

ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვს ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწჳქვან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ მეფეთა ცხოვრება. 1955, 5)

აღსანიშნავია, რომ აქ ეგროსის წილი ქვეყნის სამხრეთი საზღვარი მოცემული არ არის, მაგრამ იგულისხმება, რომ ის გადიოდა „სპერის ზღვასთან“; ანუ ჭოროხისა და შავი ზღვის შესართავთან, რომელიც ოძრკოსის წილხვდომილი ქართლის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იყო.

კლარჯეთის განსაკუთრებული და გამორჩეული მდგომარეობა ქართლის სამეფოში ჩანს „ქართლის ცხოვრების“ მრავალ ადგილას. როდესაც ქართლში ალექსანდრე მაკედონელის მიერ მეფედ დასმულ უცხოელ აზოს მცხეთელი ფარნავაზი აუჯანყდა (მე ამ აჯანყებას ძვ. წ. აღრიცხვით 305-304 წლებით ვათარილებ; ნიკოლოზიშვილი 2006, 70-73), დაპირისპირების ბოლო ეტაპზე „წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა“ (მეფეთა ცხოვრება 1955, 23). კლარჯეთის მიუვალ ადგილებში გამაგრებულმა აზომ „მოირთნა სპანი საბერძნეთით“, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში, „ნაქალაქევსა თანა არტანისასა“, ფარნავაზმა დაამარცხა აზოს და ბერძენთა გაერთიანებული ლაშქარი. ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოში ერისთავების გამწესების შესახებ ნათქვამია: „მეშუდე გაგზავნა

კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანი თვან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა“ (მეფეთა ცხოვრება 1955, 24). აქედან ჩანს, რომ ფარნავაზის ცხოვრების ავტორი კლარჯეთის (ფართო გაგებით), ანუ სამხრეთ-დასავლეთ ქართლის და ეგრისის საზღვრად კვლავ „სპერის ზღვას“, ჭოროხის შესართავს მიიჩნევს. კლარჯეთისა და ეგრისის განსაკუთრებული მდგომარეობა ხაზგასმულია იმითაც, რომ თავისი ხანგრძლივი მეფობის ხანაში ფარნავაზი „ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯენი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი“ (მეფეთა ცხოვრება 1955, 25). ამის შემდეგაც სამხრეთ-დასავლეთ ქართლს, პოლიტიკური ცენტრით კლარჯეთში, განსაკუთრებული როლი აქვს საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში.

შავი ზღვის ამ მონაკვეთში ქართლის სამეფოს დომინირებას ადასტურებს ფლავიუს არიანე თავის „პერიპლუსში“; სადაც ზღვისპირას მოსახლე ხალხების აღწერისას აღნიშნავს: „მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის (იგულისხმება ფარსმან II ქველი) ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან“ (გორდეზიანი და დანელია 2010, 305–306). მართალია, ეს აღწერა ეხება II საუკუნის 30-50-იანი წლების ამბებს, მაგრამ ქართლის მეფეთა ამ ტერიტორიაზე დომინირება რომ ახალი ამბავი არაა, ეს არიანეს მონათხრობიდანაც აშკარაა – ის მას ყვება როგორც მყარ მოცემულობას და არა როგორც რამე ახალ ამბავს. თუ ჰეკატეოს მილეტელი ძვ. წ. აღრიცხვის VI-V სს-ების მდგომარეობით მოსხებს კოლხების ტომად მიიჩნევს (გორდეზიანი და დანელია 2010, 80), ახ. წ. აღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ვითარება მკვეთრად იცვლება: სტრაბონი წერდა, რომ მოსხების ქვეყანა, რომელიც სწორედ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთს გულისხმობს, „სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე – იბერებს და მესამე – არმენიელებს“ (გორდეზიანი და დანელია 2010, 223–224); ასევე პლუტარქეც, პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის აღწერისას აღნიშნავს, რომ „იბერთა ტომი მოსხოსის მთებამდე და პონტოსამდე აღწევს“ (გორდეზიანი და დანელია 2010, 283); პროკოპი კესარიელი მესხებს „ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომებს“ უწოდებს (ყაუხჩიშვილი 1965, 127). ბუნებრივია, ამ სტატიაში კოლხეთ-იბერიის ისტორიულ და პოლიტიკურ-გეოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებით ვერც ყველა წყაროს განვიხილავთ და ვერც თემას ამოვწურავთ, ეს არც არის ამ წერილის მთავარი მიზანი. ამჯერად საჭიროდ ჩავთვალე, კიდევ ერთხელ წარმოგჩინა ამ საკითხის სირთულე, რომლის ეთნო-პოლიტიკურ ლაბირინთებშიც ადვილად შეიძლება დაბნეულიყო ანტიკური

ხანის მწერალი, ან სულაც, ეს მრავალფეროვანება მას შეგნებულად, საკუთარი მხატვრული მიზნებისთვის გამოეყენებინა ისე, როგორც მოესურვებოდა.

კლარჯეთის, როგორც ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გულის განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ეს იყო შესანიშნავი პლაცდარმი როგორც ზღვაზე გასასვლელად, ასევე აღმოსავლეთ ანატოლიასთან და შემდგომ აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან სავაჭრო-ეკონომიკური და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო აქტივობებისთვის. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ამ რეგიონს იმპერიისთვისაც, რაც კარგად ჩანს კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებიდან არტანუჯის დახასიათებისას:

ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა. აქვს დიდი რაბათიც და დაბა-ქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიისა და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის. ადრანუჯის ციხის მიწა-წყალი, ესე იგი არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს. (ყაუხჩიშვილი 1952, 278–280)

კლარჯეთისა და გვიანდელი მესხეთის პოლიტიკური და გეოგრაფიული მნიშვნელობით უნდა აიხსნას ელინისტური ხანიდან გაძლიერებული ქართლის სამეფოს ყოფნა ლეგენდარული დიდი კოლხეთის ტერიტორიის ნაწილზე და მის სიახლოვეს. ამ რეგიონისადმი ინტერესით იხსნება საქართველოსა და რომს, შემდგომში კი ბიზანტიას შორის ურთიერთობათა ბევრი მოვლენა, ისევე როგორც ბიზანტია-სპარსეთის დაპირისპირება ლაზიკის გამო VI საუკუნეში, რომელშიც, ბუნებრივია, იბერიის სამეფოც იყო ჩართული; ამითვე იხსნება იბერიის თემის დაარსება XI საუკუნეში და ტოპონიმ „ქართლის ყელის“ – თურქ. Gürcü Boğazi (დღევ. თურქეთის ტერიტორიაზე, უზუნდერეს მთასთან) – არსებობა მესხეთის მთებში (თურქ. Mescit Dağları). როგორც უახლესი კვლევით დგინდება, გეოგრაფ პტოლემეს და პლინიუს უფროსის ხანაში იბერიის სამეფოს უკიდურესი დასავლეთი ისპირის პლატოს მოიცავდა და ვრცელდებოდა გურჯუ-ბოლაზამდე, ანუ საქართველოს ყელამდე, რომელსაც რომაელები „იბერიის კარიბჭეს“ (Portas Iberiae) ან „კავკასიის კარიბჭეს“ უწოდებდნენ (Licini, 2017, 61–153). კერძოდ, პლინიუს უფროსი წერდა: „ამ ადგილას უნდა გასწორდეს შეცდომა, რომელიც ბევრმა დაუშვა. მათ შორის იმათაც, ვინც არმენიაში სულ ახლახან ილაშქრა კორბულონთან ერთად. ვინაიდან ისინი კასპიის კარიბჭეს უწოდებდნენ იბერიის კარიბჭეს, რომელსაც, როგორც ვთქვით, კავკასიის კარიბჭე ეწოდება“ (Plin., Naturalis historia, 6,5; გორდუზიანი და დანელია 2010, 505). აქედან გამომდინა-

რე, ვერ გავიზიარებთ ამერიკელი მკვლევრის, სტივენ რაპის მიერ შემოთავაზებულ თეზისს, თითქოსდა მხოლოდ არაბთა შემოსევების შედეგად მოხდა ქართველთა / იბერთა ელიტების მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოდან სამხრეთ-დასავლეთით (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, ჯავახეთი), სადაც უშუალო და მჭიდრო შეხებაში მოვიდნენ ბიზანტიასთან. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, წარუმატებელია მისი მცდელობა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანოს ისეთი ტერმინები, როგორცაა exiled K'art'velians, neo-K'art'velians – მიგრირებული ელიტების მისამართით და neo-K'art'li – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად (Rapp 2003, 13–14, 419–20, 420 შენ. 18).

რაც შეეხება ტერმინებს – კოლხეთი და კოლხები, მეცნიერებაში კარგა ხანია გარკვეულია, რომ ანტიკურ წყაროებში იგი ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ერთი, ვიწრო მნიშვნელობით, საკუთრივ კოლხთა ტომის აღსანიშნავად (შემდგომში ლაზიკა და ლაზები) და მეორე – ფართო გეოგრაფიული კრებითი მნიშვნელობით, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიას ტრაპეზუნტის მიდამოებიდან ჩრდილოეთით კავკასიონის დიდ მთაგრეხილამდე და აღმოსავლეთით – ლიხის ქედამდე და აქ მოსახლე მრავალ ტომს აერთიანებდა. ფართო მნიშვნელობით სახელწოდება „კოლხეთი“ ამ ვრცელ ტერიტორიაზე მწიგნობრული გზით უნდა გავრცელებულიყო ბერძენთა მიერ და შემდგომ, რომაულ და ბიზანტიურ საისტორიო და სხვა ხასიათის ლიტერატურაში უნდა გადასულიყო (ინაძე 1993, 43–55). „გვიანანტიკურ ხანაში, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს მიმართ უცხოურ წყაროებში მტკიცედ დამკვიდრდა სახელწოდება „ლაზიკა“, ტერმინებს „კოლხი“ და „კოლხეთი“ ძველი მნიშვნელობით მაინც ხშირად იყენებდნენ რომაელი და ბიზანტიელი ავტორები“ (ინაძე 1993, 52). საინტერესოა, რომ IV ს-ის მეორე ნახევრის ავტორი გელასი კესარიელი, განსხვავებით სხვა ავტორებისგან (რუფინუსი და სხვა), წმ. ნინოს მიაწერს არა მხოლოდ იბერების, არამედ ლაზების, ანუ კოლხების ქრისტიანობაზე მოქცევასაც. იგი იბერებსაც და ლაზებსაც პონტოს გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე მაცხოვრებლებად წარმოგვიდგენს: „იმავე ხანებში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ“ (ყაუხჩიშვილი 1961, 186). ეს ფაქტი, ჩემი აზრით, გელასის დროინდელი იბერიის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის უშუალოდ შავი ზღვის პირას მდებარეობაზე თუ არა, მასთან უშუალო მახლობლობაზე უნდა მიაწინებდეს (კვლავ გავიხსენოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად „ბოლო კლარჯეთისა“ არის „ზღვს პირი“). ბიზანტიელი ავტორებისთვის, დასავლეთ საქართველო კოლხიდის სა-

ხელითაა ცნობილი, ხოლო მისი მოსახლეობა კოლხებად იწოდება, რაც ანტიკური ეპოქიდან მომდინარე ტრადიციაა. მაგრამ, ამავე დროს, იგივე ავტორები ამ რეგიონს იცნობენ ლაზიკად, მის მაცხოვრებლებს კი – ლაზებად. IV-V საუკუნის ავტორებისთვის ლაზები ზოგადად დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლები არიან, მაგრამ მათში ასევე შეიძლება იგულისხმებოდეს საკუთრივ ლაზიკის, „შიდა ეგრისის“ ანუ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილის, რიონის ველის და მიმდებარე ოლქების მოსახლეობა (ლომოური 1993, 75–79).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სიტუაცია შეიძლება ასე შევაჯამოთ: სავრომაკე იძულებული გამხდრა, თავისი ბიძაშვილის, ასფაგურის წინადადება მიეღო და იბერის გაყოფას დათანხმებოდა. სავრომაკეს ერგო სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, რომელიც უეჭველად მოიცავდა სპერსა და შავშეთ-კლარჯეთს. ეს ტერიტორიები კი, მიუხედავად მათი იბერიისადმი პოლიტიკური კუთვნილებისა, მწიგნობარ ბერძენ ადამიანს შეიძლებოდა ფართო გაგებით კოლხეთადაც მიეღო. ეს მითუმეტეს მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, როცა ბერძენი მწერალი არა იმდროინდელი პოლიტიკური რეალობით, არამედ მითოლოგიური კატეგორიებით მსჯელობას მიმართავს.

სუბარმახოსი, „ნამდვილი კოლხი“ – მითოლოგიური კატეგორია

ევნაპი სარდელის წერის სტილზე საუბრისას საჭიროა დავუბრუნდეთ სახელის – Σοῦβαρμάχιος მნიშვნელობის საკითხის გარკვევას. როგორც ზემოთ ვნახეთ, ევნაპიმ რთულ ფონეტიკურ მანევრებს მიმართა იმისათვის, რომ ლათინიზებული SAVROMACES-იდან გრეციზებული Σοῦβαρμάχιος გამოეყვანა. ჩემი აზრით, მან ბერძნული ენის ფონეტიკური შესაძლებლობები შეგნებულად, თავისი ლიტერატურული მიზნის განსახორციელებლად გამოიყენა. ახლავე ავხსნი, თუ რა მაქვს მხედველობაში.

მკვლევრების მიერ უკვე შენიშნულია, რომ ევნაპი, ისევე როგორც ანტიკურ რიტორიკაში დახელოვნებული სხვა მწერლები, სიტყვათა თამაშის ლიტერატურულ ხერხს და მის სხვადასხვა მეთოდებს სიამოვნებით მიმართავდა (Cameron and Long 1993, 222 შენ. 104). მაგ. საჭურის ევტროპიუსის სხვა თანამებრძოლის, პამფილიის მმართველ ლეონის (Λέων) შესახებ ევნაპი აღნიშნავს, რომ თავაშვებული ცხოვრების წესის გამო ის სრულებით იმსახურებდა, ეტარებინა ამ ცხოველის (ბერძ. λέων = ლომი) სახელი (ფრაგ. 67.6; Blockley 1983, 105).¹⁸ შემდეგ ფრაგმენტში ევნაპი ლეონს „ლომად წოდებულად“ იხსენიებს (ფრაგ.

18 ლეონის შესახებ. იხ.: Martindale 1980, 661–62 (Leo 2).

67.7; Blockley 1983, 105). ევნაპი ყორანივით გაუმაძღარს და მამალივით ავხორცს უწოდებს ჰიერაქსს (Ἱέραξ), იმპერატორ არკადიუსის უახლოესი მრჩეველის, იოანეს¹⁹ პროტეჟეს და სამხედრო მეთაურს, რომლის სახელიც – ბერძნულად ქორს ან შევარდენს (= Ἱέραξ) ნიშნავს (ფრაგ. 71.2; Blockley 1983, 115).²⁰ თავად იოანეს კი ევნაპი ქორების გაწაფულ და ვერაგ მომშენებელს (Ἱερακιστρίδις < Ἱέραξ + τρίδις = ქორების მომშენებელი) უწოდებს, მიანიშნებს რა მის ერთგულ ჰიერაქსზე (ფრაგ. 71.3; Blockley 1983, 149). მომდევნო ორ ფრაგმენტშიც ევნაპი ჰიერაქსის სახელის მნიშვნელობაზე სიტყვებით თამაშს აგრძელებს და ერთგან (ფრაგ. 71.4) მის მოწინააღმდეგეს, ასიის ვიკარ ჰერენიანოსს²¹ არწივს უწოდებს, რომელმაც გასაქცევად გამზადებული ქორი, ანუ ჰიერაქსი შეიპყრო; მეორეგან (ფრაგ. 72) კი ევნაპი, იხსენებს რა ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენის“ იგავს, „არწივ“ ჰერენიანოსს უკვე ჭილყვავს ადარებს, ხოლო ჰიერაქსს – ბულბულად ქცეულ ქორს (Blockley 1983, 116–17, 119). ერთ-ერთი სამხედრო მეთაურის, არბაზაკიოსის (Ἀρβαζάκιος) შესახებ კი ევნაპი ამბობს, რომ მას, პათოლოგიური სიხარბის გამო, არპაზაკიოსს (Ἀρπαζάκιος), ანუ „მტაცებელს“ (ἀρπάζω = „მტაცებელი“; „ქურდი“) უწოდებდნენ (ფრაგ. 71.1; Blockley 1983, 113).²²

ახლა, რაც შეეხება უშუალოდ სუბარმახიოსის ფრაგმენტს (ფრაგ. 67:8; Blockley 1983, 106-1-7; Buck 1977, 217): მისი ალკოჰოლიზმის შესახებ საუბრისას ევნაპი ისევ სიტყვათა თამაშს მიმართავს, როდესაც წერს: „τιδέτῃς ἄριστος, εἶχε μὴ κατετόξευεν αὐτὸν τὸ περιττὸν τῆς τρυφῆς“ („რჩეული მოისარიც იყო, რომ იგი ისრით არ მოეკლა ჭარბ ფუფუნებას“). აქ სიტყვა τιδέτῃς მშვილდოსანს, მოისარს ნიშნავს, რომელიც ისრითვე მოიკლა – κατετόξευεν (κατατόξευα = ისრით მოკვლა, განგმირვა). ორივე სიტყვაში გვაქვს ძირი τόξον, რაც „მშვილდს“, „მშვილდისარს“, „ისარს“ ნიშნავს. იგივე τόξον ჯერ კიდევ პინდარესთან გვხვდება (ფრაგ. 218) მეტაფორული მნიშვნელობით, ღვინის სმის საბოლოო ეფექტის აღსანიშნავად (ის, რომ ევნაპი პინდარეს შემოქმედებას კარგად იცნობდა, იქიდანაც ჩანს, რომ 66.2 ფრაგმენტში მის „ოლიმპიურ ოლებს“ ციტირებს (Buck 1977, 217 შენ. 546; Slater 1969, 509)). აქედან ლათინურში მივიღეთ toxicum / toxicon ორი მნიშვნელობით: 1) ისრისპირზე წასმული შხამი და 2) ზოგადად შხამი. საიდანაც, თავის მხრივ, ევროპულ ენებში მივიღეთ „ინტოქსიკაცია“ მოწამვლის, მათ შორის, ალკოჰოლური მოწამვლის მნიშვნელობით.

19 იოანეს შესახებ. იხ.: Martindale 1980, 593–94 (Ioannes 1).

20 ჰიერაქსის შესახებ იხ.: Martindale 1980, 556 (Hierax 1).

21 ჰერენიანუსის შესახებ იხ.: Martindale 1980, 546 (Herennianus).

22 არბაზაკიოსის შესახებ. იხ.: Martindale 1980, 127–28 (Arbazacivs 1).

მაგრამ დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება სუბარმახოსის სახელისთვის, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ სახელის გრეციზებული ვარიანტის ფონეტიკურმა ანალიზმა მიმიყვანა დასკვნამდე, რომ ის ფონეტიკური ცვლილებები, რაც სახელმა განიცადა ლათინურიდან ბერძნულ ენაზე გადმოტანისას, ენათმეცნიერული თვალსაზრისით გამართლებულია, მაგრამ ოდნავ ხელოვნურად გამოიყურება. ევნაპი თავად იყო სუბარმახოსის თანამედროვე და პირადად თუ არ იცნობდა მას (მაგ. ზემოთ ნახსენები ჰიერაქსის მსგავსად), მისი სახელი არაერთხელ ექნებოდა გაგონილი. ამიტომ, ცოტა არ იყოს, უცნაური და დაუჯერებელია, რომ ევნაპის თავისი თანამედროვეის სახელის ორთოგრაფია ასე უნებურად შეეცვალა. აქედან გამომდინარე, გამიჩნდა ეჭვი – ეს ორთოგრაფიული ცვლილებები ხომ არ იყო მიზანმიმართული, შეგნებულად დაშვებული სიტყვათა თამაში? მართლაც, ბერძნულად Σὺβαρις ფუფუნებაში ცხოვრებას ნიშნავს. ეს სიტყვა მომდინარეობს ელინისტური ხანის ქალაქის, აქეველთა კოლონიის, სუბარისის / Σὺβαρις (დღევ. სამხრ. იტალია, იონიის ზღვის სანაპიროზე) სახელწოდებიდან. მისი მაცხოვრებლები – სუბარიტები / Σὺβαριτες, საფიქრებელია, ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში საარაკონი გახდნენ თავიანთი გაფუფუნებული და ნებიერი ცხოვრების წესის გამო.²³ დაახ. ძვ. წ. 720 წელს დაარსებული ქალაქი ძვ. წ. 510 წელს აღიგავა პირისაგან მიწისა კროტონელებთან ბრძოლის შემდეგ. ტრადიცია ქალაქის განადგურების მიზეზად მისი მაცხოვრებლების ამორალური ცხოვრების წესს, ფუფუნებას მიიჩნევს, რაც ბერძნულში სპეციალური ტერმინით – τρυφή გამოიხატება. Τρυφή-ს, ფუფუნების შედეგად ინდივიდუალური თუ კოლექტიური (ქალაქი, საზოგადოება, სამეფო) მორალური და ფიზიკური დაცემის კონცეფცია, ცნობილმა რიტორმა, ათენეოს ნავკრატიდელმა (II-III სს-ების მიჯნა) თავის „ბრძენთა ნადიმში“ გადმოსცა, სადაც მთავარი ადგილი ქალაქ სუბარისს და მის მაცხოვრებლებს უკავიათ (Athenaeus 2010, 2–221).²⁴

23 მე ქალაქის და მისი მაცხოვრებლების სახელებს Σὺβαρις და Σὺβαριτες გადმოვცემ ვ-თი – სუბარისი და სუბარიტელნი, რადგან ბერძნული იფსილონი – წარმოითქმებოდა უ-დ კლასიკურ ხანაში, ხოლო ელინისტური ხანიდან – როგორც ფრანგული „u“, გერმანული „ü“. ოღონდ ბერძნულში ყველაზე გვიან განიცადა იტალიზმი. XI საუკუნეში ანატოლიელ ბერძნებში ს ჯერ კიდევ წარმოითქმებოდა როგორც ფრანგული „u“ და გერმანული „ü“. მისი ი-დ წაკითხვა იმ პერიოდში უკულტურობისა და გაუნათლებლობის ნიშანი იყო და ასეთი ადამიანები დაცივნის ობიექტები იყვნენ (Lauritzen 2009, 161–168). ასევე, ნ. პანტელიდისის უკანასკნელი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ორიგინალურ ათენურ დიალექტში ს წარმოითქმებოდა როგორც γ ჯერ კიდევ 1840 წლამდე, სანამ პელოპონესიდან გადმოსახლებული მოსახლეობა გადაავსებდა დედაქალაქს (Pantelidis 2016, 103–146).

24 ლიტერატურა ამ საკითხზე: Gorman and Gorman 2007, 38–60; Gorman and Gorman 2014, 7–25.

ეჭვი არაა, რომ ევნაპი სარდელისთვის, ათენოსისგან თუ სხვა წყაროდან, ცნობილი იყო ეს ტრადიცია. სწორედ ეს ტრადიციის დადგენის კონცეფციაა გადმოცემული სუბარმახიოსის ფრაგმენტში, როდესაც ევნაპი წერს, რომ ის ჭამა-სმის სიყვარულმა, ჭარბმა ფუფუნებამ, ანუ ტრადიციამ მოკლა (τιξότης ἄριστος, εἵνε μὴ κατετόξευεν αὐτὸν τὸ περιττὸν τῆς τρυφῆς) შხამიანი ისრით. ტერმინი ტრადიქ, ფუფუნების სხვადასხვა ფორმებთან ერთად ჭარბი ღვინის სმის სიყვარულს, ალკოჰოლიზმს და მისგან დაცემასაც გულისხმობდა (Gorman and Gorman 2007, 45 შენ. 32, 50, 55 შენ. 69).

აშკარაა, რომ ევნაპიმ, საურმაგ / სავრომაკე / სუბარმახიოსის ცხოვრების მანკიერი წესი – უზომო ჭამა-სმის სიყვარული, მემთვრალეობა და ჭარბი ფუფუნება სუბარიტებს და მათი ცხოვრების წესს დაუკავშირა და ზემოთ ნახსენები Ἀρπαδάκιος / არბაზაკიოს – Ἀρπαδάκιος / არპაზაკიოსის ანალოგიით, წინასწარგანზრახული სიტყვათა თამაშის, პარონომაზიის გზით შეთხზა ქართველი უფლისწულის სახელის ახალი, გრეციზებული ვარიანტი, რომელშიც შეფარული მნიშვნელობა ჩადო: „მებძოლი გაფუფუნებული სუბარტი.“ ლათინიზებული Sauromaces (სავრომაკეს) და გრეციზებული Σισίραμαχίος (სუვარმახიოს) დაახლოებით მსგავსი უღერადობის სახელებაა, ნაწილობრივ საერთო მორფემებით, მაგრამ გრეციზებულმა ფორმამ ამ ფონეტიკური ცვლილებებით ახალი შინაარსობრივი მნიშვნელობა შეიძინა. ვფიქრობ, რომ ევნაპი თავად არის ამ პარონიმის ავტორი, განსხვავებით არბაზაკიოს – არპაზაკიოს შემთხვევისა, რომელიც მას ხალხში ჰქონდა გაგონილი.

მაგრამ ამით არ სრულდება ევნაპის მითოლოგიური წიაღსვლები. ისმის შეკითხვა: რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს სუბარმახიოსის „ნამდვილ კოლხობასთან“? საქმე ისაა, რომ დიოდორე სიცილიელი (ძვ. წ. I ს.) თავის „ბიბლიოთეკაში“, როდესაც არგონავტების შესახებ მითს გადმოგვცემს, აღნიშნავს: „მოგვითხრობენ, რომ მედემამ არგონავტები ჩაიყვანა არესის ჭალაში, რომელიც ქალაქს სამოცდაათი სტადიონით იყო დაშორებული; ამ ქალაქს ერქვა სიბარისი და იგი კოლხთა დედაქალაქი იყო.“ (გორდუზიანი და დანელია 2010, 268). ეს არის ჩვენამდე შემორჩენილი ერთადერთი შემთხვევა ანტიკურ მწერლობაში, როდესაც კოლხეთის ლეგენდარულ დედაქალაქს არა აია, არამედ Σσίρα / „სუბარისი“ ეწოდება, მსგავსად სამხრეთი იტალიის განცხრომით მცხოვრები ქალაქისა, თუმცა, შესაძლოა, დიოდორე სიცილიელი სხვა წყაროს ეყრდნობოდა, რადგან პასაჟს იწყებს სიტყვებით: „მოგვითხრობენ, რომ...“ ვფიქრობ, სრულიად მართებულად შენიშნა ვ. ჯოჯუამ, რომ კოლხეთის დედაქალაქისთვის ამ სახელის მინიჭება

დიოდორეს თუ მისი წყაროს მიერ, მოხდა გამიზნულად, კოლხეთის, როგორც ზღაპრულად მდიდარი ქვეყნის შესახებ არსებულ ცნობებზე დაყრდნობით, რითაც სახელწოდებას მიანიჭა ფუფუნების, განცხრომის მნიშვნელობა (ჯოჯუა 1993, 324).

ამგვარად, ირკვევა, რომ ევნაპის მიერ სუბარმახიოსის „ნამდვილ კოლხად“ მოხსენიება გამოწვეულია ორი გარემოებით: პირველი – გეოგრაფიული თვალსაზრისით, რადგან ამიანეს სავრომაკე იბერიის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილის მმართველი იყო, რომელიც მწიგნობარი ბერძენისთვის, ამ შემთხვევაში კი ევანაპისთვის, ფართო გაგებით ლეგენდარული კოლხეთის ნაწილს შეადგენდა, რასაც ადასტურებს მისი ფორმულირება: „ფაზისისა და თერმოდონტის გადაღმა მცხოვრები“; და მეორე – მისი სახელის – საურმაგ / სავრომაკეს ფონეტიკური მიმსგავსება სამხრეთ იტალიის ქალაქის ანალოგიით მიღებულ კოლხეთის მითიურ დედაქალაქ Σαβᾶρι-თან, რაც პირდაპირ კავშირშია ფუფუნებასთან და განცხრომასთან, რომელმაც ფიზიკურად და სულიერად დასცა ეს რჩეული მეომარი და მოისარი. ვფიქრობ, ამით საბოლოოდ მოიხსნა ამიანეს სავრომაკესა და ევნაპის სუბარმახიოსის გაიგივების უკანასკნელი დაბრკოლებაც.

საურმაგი / სავრომაკე / სუბარმახიოსი – საიმპერატორო კარზე

როგორ მოხვდა იბერიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მმართველი სავრომაკე / სუბარმახიოსი საიმპერატორო კარზე, ამის გასაღებს „ქართლის ცხოვრება“ ვვაძლევს, როდესაც ლაპარაკია ვარაზ-ბაქარის (= ამიანეს – ასფაგური) მეფობის დროს განვითარებულ მოვლენებზე. მატიანეს თქმით, ვარაზ-ბაქარი იყო ურწმუნო და მშიშარა მმართველი, სპარსელებს დაუთმო რანი და მოვაკანი და თავი დაიხარკა, ტფილისში კი სპარსთა მეფის „ერისთავი“, ანუ პიტიახში დაჯდა: „ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსიანთამდე.“ (მეფეთა ცხოვრება 1955, 136–37). ეს მოვლენები და მათი ქრონოლოგია ასე აღდგება: 370 წელს სავრომაკემ და ასფაგურ / ვარაზ-ბაკურმა, იმპერატორის თანხმობით სამეფო გაიყვეს. სავრომაკეს წილად ხვდა იბერიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი – მტკვრის სათავეებიდან ზღვამდე, ცენტრით კლარჯეთში. იბერიის გაყოფას სპარსეთის დიპლომატიური პროტესტი მოჰყვა, გაიცვალა რამდენიმე ელჩობა, მაგრამ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. 376-377 წლის ზამთარში ორივე მხარემ ომისთვის მზადება დაიწყო. 377 წელს სპარსელებმა ისარგებლეს იმით, რომ თრაკიას გოთები შემოესივნენ

და, ერთი მხრივ, არმენიის დათმობილი მიწები ხმლით უკან წამოიღეს, ხოლო, მეორე მხრივ, სამხრეთ-დასავლეთ იბერიაში სავრომაკეს დასაცავად გამწესებულ ჯარებს ბრძოლა დაუწყეს. ამავე დროს, ქართული წყაროების მიხედვით, ვარაზ-ბაქარის წილხვედრი იბერიის საზღვრებიც ჩამოუჭრია სპარსეთს და მისთვის ხარკიც განუწესებია. შესაბამისად, როგორც ჩანს, 377 წელსვე, ან 378 წელს, კლარჯნი განუდგნენ მცხეთას და „მიერთნეს ბერძენთა“; რაც იმას ნიშნავს, რომ ამით სავრომაკემ ნებაყოფლობით დაასრულა თავისი მმართველობა სამხრეთ-დასავლეთ იბერიაში, იმპერიას გადასცა „თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსიანთამდე“ და თვითონ კი რომაელთა სამხედრო სამსახურში ჩადგა. ამის მაგალითი ისტორიაში უკვე იყო ათიოდე წლით ადრე, როდესაც 367 წლის ბოლოს ბაკურ იბერიელმა უარი თქვა თავის კუთვნილ სამეფო ტახტზე და იმპერატორის პირადი დაცვის საპატიო წევრად (protector domesticus) ჩაირიცხა. საგულისხმოა, რომ 377-378 წელს ბაკურ იბერიელი დაწინაურდა და იბერიულ-ქართული სკუტარიების სხოლას ტრიბუნი გახდა. შესაძლოა ვიფიქროთ, სავრომაკემ იმპერატორის პირად დაცვაში ბაკური ჩაანაცვლა ისევე, როგორც მოგვიანებით, დაახლ. 395 წლისთვის, დაწინაურდა და ტრიბუნის თანამდებობაზე უნდა ჩაენაცვლებინა ფარასმანესი, რა დროსაც მას უკვე სუბარმახიოსის სახელით ვიცნობთ. სუბარმახიოსს, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ფაქტიური მმართველის, ევტროპიუსის ნდობით აღჭურვილ პირს და უერთგულეს თანამებრძოლს სიცოცხლე დაახლოებით 404 წლამდე უნდა დაესრულებინა ჩვენთვის გაურკვეველ გარემოებებში. მის მიერ „ბერძენთათვის“ ჩაბარებული იბერიის ნაწილი კი მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ ვახტანგ გორგასალმა დაუბრუნა ქართლის სამეფოს: „უკუმოსცა კვისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთგან ვიდრე არსიანთამდე, და კევნი რომელნი მოსდგმანან ლადოთა“ (ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა 1955, 177).

ასეთია ქართლის სამეფო საგვარეულოს ერთი წარმომადგენლის, საურმაგ / სავრომაკე/ სუბარმახიოსის და მის გარშემო განვითარებული ისტორია.

დამოწმებანი

ანდრონიკაშვილი, მზია. 1966. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. ტ. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ანდლულაძე, ნუგზარ. 1984. *წილკნის ტაძრის შესახებ*. საბჭოთა ხელოვნება N9.

- ბახტაძე, ნოდარ, ვაჟა მამიაშვილი, ბაჩანა გაბეხაძე და ჯიმშერ ჩხვი-
მიანი. 2020. *ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძ-
რები*. თბილისი: სეზანი.
- გოილაძე, ვახტანგ. 1990. *ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა
ქრონოლოგია*. თბილისი: მეცნიერება.
- გორდუზიანი, რისმაგ და მათა დანელია, რედ-ები. 2010. *ანტიკური კავ-
კასია. ენციკლოპედია*. ტ. I. წყაროები. თბილისი: ლოგოსი.
- დოლიძე, ისიდორე. 1977. *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. VI
(შემდგ. ი. დოლიძე), თბილისი: მეცნიერება.
- თუმანიშვილი, დიმიტრი, ნათია ნაცვლიშვილი და დავით ხოშტარია.
2012. *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში*.
თბილისი: სეზანი.
- ინაძე, მერი. 1993. *ტერმინები „კოლხი“ და „კოლხეთი“ ანტიკურ მწერ-
ლობაში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხო-
ური და ქართული ტერმინოლოგია*. თბილისი: მეცნიერება.
- კეკელიძე, კორნელი. 1955. ვინ არის ლიბანიოსის ადრესატი ბაკური?
ეტიუდები III. თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კეკელიძე, კორნელი. 1980. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*.
ტ. I, თბილისი: მეცნიერება.
- კინწურაშვილი, ნოდარ, ცახტანგ დოლიძე, უშანგი სიღამონიძე და
გიორგი ცქიტიშვილი. 1990. *საქართველოს ისტორიისა და კულ-
ტურის ძეგლთა აღწერილობა*. ტ. 5. თბილისი: ქართული ენციკ-
ლოპედია.
- ლოლაშვილი, ივანე. 1988. *ცხოვრება პერტე იბერისა*. ასურული რე-
დაქცია გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და
განმარტებითი საძიებლები დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი:
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ლომოური, ნოდარ. 1993. *ტერმინები „კოლხი“ და „კოლხეთი“ ანტიკურ
მწერლობაში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უც-
ხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბილისი: მეცნიერება.
- მაჭავარიანი, ელენე. 1985. *ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა*.
თბილისი: მეცნიერება.
- მეფეთა ცხოვრება. 1955. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი
ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.
ტ. I, თბილისი: სახელგამი.
- მოქცევაჲ ქართლისაჲ. 1963. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტე-
რატურის ძეგლები*. წიგნ. I (V-X სს.). ი. აბულაძის ხელმძღვანელო-
ბითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის გამომცემლობა.

- მოქცევად ქართლისად. 1979. *შატბერდის კრებული X საუკუნისა*. გამოსაცემად მოამზადეს: ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი: მეცნიერება.
- მოქცევად ქართლისად. 2007. „მოქცევად ქართლისად“-ის ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.
- მუსხელიშვილი, დავით. 1977. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*. ტ. I. თბილისი: მეცნიერება.
- მუსხელიშვილი, დავით. 2003. *საქართველო IV-VIII საუკუნეებში*. თბილისი: მემატიანე.
- მჭედლიშვილი, ბაადურ და თენგიზ მირზაშვილი. 1984. ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა. *ახალგაზრდა კომუნისტი*, 4 თებერვალი: 3–4.
- ნარკვევები. 1973. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები* (რედ. შ. მესხია). ტ. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ნიკოლოზიშვილი, ნიკოლოზ. 2006. ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან „მოქცევად ქართლისადასა“ და „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.
- ნიკოლოზიშვილი, ნიკოლოზ. 2010. თემისტიოსი და ბაკურ იბერიელის რომაული სამხედრო კარიერის დასაწყისი, *ქართული წყაროთმცოდნეობა XII*: 123–138.
- ნიკოლოზიშვილი, ნიკოლოზ. 2018. ვინ არის ბრიტანული ეპიგრაფიკული წყაროების BACVRA? *კადმოსი 10* (2018): 152–171.
- სანაძე, მანანა. 2019. ქართველთა ცხოვრება. წიგნ. I. *შესავალი ქართველთა ცხოვრებაში*. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სარჯველაძე, ზურაბ. 1984. *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*. თბილისი: განათლება.
- ყაუხჩიშვილი, სიმონ. 1936. *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. III. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ყაუხჩიშვილი, სიმონ. 1952. *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. IV, ნაკვ. 2. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ყაუხჩიშვილი, სიმონ. 1961. *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

- შავლაყაძე, ქრისტინე. 2016. ქიოსური ამფორების იმპორტი ბერძენთა განსახლების არეალში (ძვ.წ. VII-I საუკუნეები), არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შანიძე, აკაკი. 1976. ძველი ქართული ენის გრამატიკა. *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები* 18. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შოშიაშვილი, ნოდარ. 1980. ლაპიდარული წარწერები. ტ. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება.
- ჩუბინაშვილი, ნიკო. 1959. საურმაგის ძის ნიღვარაის ქტიტორული რელიეფი ჯავახეთის ახაშენიდან. *ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები* 5: 135–154.
- ჩხარტიშვილი, მარიამი. 2018. *საქართველო III-V საუკუნეებში, ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია*. თბილისი: ნეკერი.
- ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. 1955. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბილისი: სახელგამი.
- ხორენაცვი, მოვეს. 1984. *სომხეთის ისტორია*. ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბილისი: მეცნიერება.
- ჯავახიშვილი, ივანე. 1908. *ქართველი ერის ისტორია*, წიგ. პირველი. ტფილისი: შრომა.
- ჯავახიშვილი, ივანე. 1960. *ქართველი ერის ისტორია*, ტ. I. თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯოჯუა, ვილენა. 1993. ძველი საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემისათვის ბერძენ ავტორებთან. წიგნში *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. წ. 10, 322–327. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია; ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- Adler, Ada, ed. 2001. *Lexicographi Graeci*, vol. I, Svidae Lexicon A-Ω, pars. IV Π-Ψ, ed. Ada Adler. K. G. Saur München – Leipzig: K. G. Saur Verlag.
- Alemany, Agustí. 2000. *Sources on the Alans: A Critical Compilation*. Leiden-Boston-Köln: Brill.
- Allen, Ronald. 2009. Suda On Line. University of Kentucky <https://www.cs.uky.edu/~raphael/sol/sol-entries/sigma/793> (13.01.2021).
- Armstrong, Gregory T. 1967. Constantine's Churches. *Gesta – International Center of Medieval Art*. Vol. 6 (Jan).

- Athenaeus. 2010. *The Learned Banqueters*, Volume VI: Books 12-13. 594b. Cambridge-London: Harvard University Press.
- Balzat, J. – S, R.W.V. Catling, E. Chiricat and T. Corsten. 2018. *A Lexicon of Greek Personal Names*. Volume V.C. Inland Asia Minor. New-York: Oxford University Press.
- Barlow, Jonathan, Peter Brennan. 2001. Tribuni Scholarum Palatarum c. A.D. 353-64: Ammianus Marcellinus and the Notitia Dignitatum. *The Classical Quarterly*, New Series, Vol. 51, No. 1.
- Bernhardy, Godofredus, ed. 1853. *Suidae lexicon*, Graece et Latine, Tom. 2, pars. I, Halle et Brunsvigae: Sumptibus Schwetskiorum.
- Blockley, Roger. 1983. *The Fragmentary Classicising Historians of the Later Roman Empire (Eunapius, Olympiodorus, Priscus, and Malchus)*, II, ed. R. C. Blockley, Liverpool: Francis Cairns Publications.
- Boissonade, Jean François. 1822. *Eunapii Sardiani, Vitas Sophistarum et fragmenta historiarum, recensuit notisque illustravit Io. Fr. Boissonade*, Amsterdami (Amsterdam).
- Braund, David. 1994. *Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 b.c.-a.d. 562*. Oxford: Clarendon Press.
- Brooks, Ernest Walter. 1924. *Historia Ecclesiastica Zachariae Rhetori Vulgo Adscripta, I, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*, Vol. 87 (= *Scriptores Syri* 41), Louvain: L. Durbecq.
- Buck, David F. 1977. *Eunapius of Sardis*. A thesis submitted to the Board of The Faculty of Literae Humaniores, Oxford University. In partial fulfilment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy.
- Cameron, Alan and Jacqueline Long. 1993. *Barbarians and Politics at the Court of Arcadius (with a contribution by Lee Sherry)*. Berkeley, Los Angeles, Oxford: University of California Press.
- Chkeidze, Thea. 2001. „Georgia v. Linguistic Contacts with Iranian Languages”. *Encyclopaedia Iranica*. Vol. X, Fasc. 5. pp. 486–490. <https://iranicaonline.org/articles/georgia-v> – (12.01.2021).
- The Duke Collaboratory for Classics Computing& the Institute for the Study of the Ancient World. 2013. *Papyri.info*. https://papyri.info/search?STRING1=%CE%BC%CE%B1%CF%87%CE%B9%CE%BF%CF%82&target1=TEXT&no_caps1=on&no_marks1=on&page=1&fbclid=IwAR13pS_OnmpLltslVo_pvYpLVbId_Id_U8de62oHS0HwxadBPo_HaW-A1mc (16.01.2021).
- Frye, Richard N. 1962. *Heritage of Persia*. London: Weidenfeld and Nicolson.
- Garsoïan, Nina. 1983. Secular Jurisdiction over the Armenian Church (Fourth-Seventh Centuries). *Harvard Ukrainian Studies*, Vol. 7, Okeanos: Essays presented to Ihor Ševčenko on his Sixtieth Birthday by his Colleagues and Students.

- Gignac, Francis T. 1975. *A Grammar of the Greek papyri of the Roman and Byzantine periods*. Volume I, Phonology. Milano: Cisalpino – Goliardica.
- Dindorfius, Ludovicus. 1870. *Historici graeci minores*, Vol. I, ed. Ludovicus Dindorfius, Lipsiae: In aedibus B.G. Teubneri.
- Dornseiff, Franz, Bernhard Hansen. 1978. *Reverse-lexicon of Greek Proper-names. Rückläufiges Wörterbuch der griechischen Eigennamen*. Chicago: Ares Publishers.
- Gaisford, Thomas, ed. 1834. *Suidae Lexicon, post Ludolphum Kusterum ad codices manuscriptos*, Tomus 2, Oxonii (Oxford): Typographeo Academico.
- Gorman, Robert and Vanessa Barrett Gorman. 2007. The Tryphê of the Sybarites: A Historiographical Problem in Athenaeus. *The Journal of Hellenic Studies*, Vol. 127.
- Gorman Robert and Vanessa Barrett Gorman. 2014. *Corrupting Luxury in Ancient Greek Literature*. Ann Arbor: University of Michigan Press.
- Heather, Peter and John Matthews. 1991. *The Goths in the Fourth Century*. Liverpool: Liverpool University Press.
- Hoffmann, Von Dietrich. 1978. Wadomar, Bacurius und Hariulf, Zur Laufbahn adliger und fürstlicher Barbaren im spätrömischen Heere des 4. Jahrhunderts. *Museum Helveticum*, Bd 35.
- Horn, Cornelia. 2006. *Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine: The Career of Peter the Iberian*. New York: Oxford University Press.
- Horn, Cornelia. 2014. Towards Evaluating the Historicity of the Claim that Peter the Iberian Descended from the Iberian Royal Family. *The Kartvelologist – Journal of Georgian Studies* 22. Tbilisi State University. <http://kartvelologi.tsu.ge/public/en/arqive/10/2> (12.01.2021).
- Horn, Cornelia B. and Robert R. Phenix Jr., eds. and trans. 2008. *John Rufus: The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and the Monk Romanus*. Writings from the Greco-Roman World 24; Atlanta, Ga.: Society of Biblical Literature and E. J. Brill Publishers.
- Ilan, Tal. 2008. *Lexicon of Jewish Names in Late Antiquity*. Part III. The Western Diaspora 330 BCE-650 CE, in collaboration with Thomas Ziem. Tübingen: Mohr Siebeck.
- Jones, Arnold Hugh Martin, John Robert Martindale and John Morris. 1971. *Prosopography of the Later Roman Empire*, Volume I, A.D. 260–395, ed. by Arnold Hugh Martin Jones, John Robert Martindale, J. Morris. Cambridge: Cambridge University Press.
- Justi, Ferdinand. 1895 (repr. 1963). *Iranisches Namenbuch*. Marburg: N. G. Elwert'sche Verlagsbuchhandlung.

- Khorenats'i, Moses. 1978. *History of the Armenians. Translation and Commentary on the Literary Sources by R. W. Thomson*. Cambridge, Mass-London: Harvard University Press.
- Kosior, Wojciech J. 2016. The Stages of Human Life Distinguished in Non-Legal Roman Sources. *Krytyka Prawa. Niezależne studia nad prawem*. Tom 8, 2: 26–27.
- Kosior, Wojciech J. 2017. Age Categories in Roman Law. A Year in Ancient Rome and its Importance for Determining People's Age. *Iura and Legal Systems*. Volume 4: 88–99.
- Labas, Kamila. 2014. Studien zur Geschichte der georgischen Länder, vom 4. bis zum früheren 7. Jh. Angestrebter akademischer Grad Doktorin der Philosophie, Wien: Universität Wien.
- Lauritzen, Frederick. 2009. Michael the Grammariā's Irony about Hypsilon: A Step Towards Reconstructing Byzantine Pronunciation. *Byzantinoslavica – Revue internationale des Études Byzantines* 67 (1-2), 161–168.
- Lenski, Noel. 2002. *Failure of Empire. Valens and the Roman State*, Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2002.
- Lenski, Noel. 2007. The Chronology of Valens' Dealings with Persia and Armenia, in *Ammianus after Julian. The Reign of Valentinian and Valens in Books 26-31 of the 'Res Gestae'*, ed. J. den Boeft, J.W. Drijvers, D. den Hengst and H.C. Teitler, 95–128. Leiden, Boston: Brill.
- Licini, Patrizia. 2017. Surveying Georgia's Past. On The Use Of Cartographic Sources For Caucasian History. *Annali di Ca' Foscari. Serie orientale*, Vol. 53.
- Liddell, Henry George and Robert Scott. 1889. *An Intermediate Greek-English Lexicon*. New York: Harper & Brothers.
- Lurje Pavel B. 2010. *Iranisches Personennamenbuch*. Bd. 2. Mitteliranische Personennamen. Faszikel 8. Personal names in Sogdian Texts. Wien: Österreichische Akademie der Wissenschaften.
- Martindale, John Robert. 1980. *Prosopography of the Later Roman Empire*. Volume II, A.D. 395–527, ed. by John Robert Martindale. Cambridge: Cambridge University Press.
- Müllenhoff, Karl. 1892. *Deutsche Altertumskunde*. III. Berlin: Weidmannsche Buchhandlung.
- Mullerus, Carolus. 1851. *Fragmenta Historicorum Graecorum* 4, ed. Carolus Mullerus, Parisiis (Paris): Editore Ambrosio Firmin Didot.
- Ormanian, Malachia. 1912. *The Church of Armenia: Her History, Doctrine, Rule, Discipline, Liturgy, Literature, and Existing Condition*. London: A.R. Mowbray.
- Pantelidis, Nikolaos. 2016. *Το παλαιοαθηναϊκό ιδίωμα: Πηγές, μαρτυρίες,*

- χαρακτηριστικά. The Modern Greek Variety of Old Athens. *Glossologia* 24: 103–146.
- Preud'homme, Nicolas J. 2017. *Bacurius, the Man with Two Faces*, *იბერო-კოლხეთი*, 13: 166–193.
- Pseudo-Zachariah Rhetor. 2011. *The Chronicle of Pseudo-Zachariah Rhetor: Church and War in Late Antiquity*. Ed. by Geoffrey Greatrex; transl. from Syriac and Arabic sources by Robert R. Phenix and Cornelia B. Horn; with introductory material by Sebastian Brock and Witold Witakowski. Liverpool: Liverpool University Press.
- Raabe, Richard. 1895. *Petrus der Iberer. Ein Charakterbild zur Kirchen und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts*. Syrische Übersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie, herausgegeben und übersetzt von Richard Raabe. Leipzig: J. C. Hinrichs'sche buchhandlung.
- Rapp, Stephen H. 2003. *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts*, Lovanii: Peeters.
- Rapp, Stephen H. 2014. *The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature*. Farnham: Ashgate.
- Rayfield, Donald. 2012. *Edge of Empires: A History of Georgia*. London: Reaktion Books.
- Seeck, Otto. 1906. Zur Chronologie und Quellenkritik des Ammianus Marcellinus, *Hermes* 41. Bd., H. 4: 481–539.
- Sims-Williams, Nicholas. 2010. *Iranisches Personennamenbuch*. Bd. 2. Mitteliranische Personennamen. Faszikel 7. Bactrian Personal Names. Wien: Österreichische Akademie der Wissenschaften.
- Slater, William J. 1969. *Lexicon to Pindar*. Berlin: Walter de Gruyter.
- Snee, Rochelle. 1985. Valens' Recal of the Nicene Exiles and Anti-Arian Propaganda. *Greek, Roman, and Byzantine Studies*, Vol. 26. Durham: Duke University.
- Tavernier, Jan. 2007. *Iranica in the Achaemenid Period (ca. 550-330 B.C.): Lexicon of Old Iranian Proper Names and Loanwords, Attested in Non-Iranian Texts*. Leuven-Paris-Dudley, Ma: Peeters.
- Tillemont M. Le Nain de. 1720. *Histoire des Empereurs*. T. 5, Paris: Charles Robustel.
- Vanderspoel, John. 1995. *Themistius and the Imperial Court: Oratory. Civic Duty and Paideia from Constantius to Theodosius*. Ann Arbor: University of Michigan Press.
- Woods, David. 1996. Subarmachius, Bacurius, and the Schola Scutariorum Sagittariorum, *Classical Philology* 91, no. 4 (October): 365–371.
- Zachariah of Mitylene. 1899. *The Syriac Chronicle Known as that of Zachariah of Mitylene*. Translated into English by F. J. Hamilton, D. D., and E. W. Brooks, M. A. London: Methuen.

- Zacharias Rhetor. 1899. Die sogenannte Kirchengeschichte des Zacharias Rhetor. *In deutscher Übersetzung herausgegeben* von K. Ahrens, G. Krüger, Leipzig: V.G. Teubner.
- Алиева, А. И. 1983. *Карачаево-балкарский фольклор в дореволюционных записях и публикациях*. Сост., вступ. ст. и коммент. А. И. Алиевой. Нальчик: Эльбрус.
- Абаев, Василий Иванович. 1949. *Осетинский язык и фольклор*. I. Москва-Ленинград: Издательство Академии Наук СССР.
- Дахкильгов, Ибрагим Абдурахманович. 2003. *Антология ингушского фольклора*. Пер. и коммент. И. А. Дахкильгова. Т. I. Нальчик: Эль-Фа.
- Дахкильгов, Ибрагим Абдурахманович. 2006. *Антология ингушского фольклора*. Пер. и коммент. И. А. Дахкильгова. Т. IV. Нальчик: Эль-Фа.
- Дворецкий, Иосиф Хананович. 1958. *Древнегреческо-русский словарь*. Том 1. Москва: Государственное издательство иностранных и национальных словарей.
- Джуртубаев, Махти. 1998. Духовная культура карачаево-балкарского народа. *Ас-Алан* №1: 101–197.
- Казарян, Иоанн. 2006. *Краткий очерк истории Армянской Церкви с I по VIII века*. Тбилиси. https://azbyka.ru/otechnik/Istorija_Tserkvi/kratkij-ocherk-istorii-armjanskoj-tserkvi-s-1-po-8-veka/ (12.01.2021).
- Казачков, Ю. А. 2010. Иоанн Златоуст – Константинопольский период. In *Православная Энциклопедия*, т. 24, 159–204. Москва: Церковно-научный центр „Православная энциклопедия“.
- Мсерианц, Левон Зармайрович. 1900. К боспорской ономастике – Собственное имя Σωρακος. *Юбилейный сборник в честь Вс. Ф. Миллера*. Москва: Типо-литография А.В. Васильева.
- Намитокова, Роза Юсуфовна. 2012. *Сводный словарь личных имен народов Северного Кавказа* (ред. Р. Ю. Намитокова), Москва: Флинта, Наука.
- Текеева, Лариса Кичиевна. 2014. Персонажи низшей мифологии в традиционном мировоззрении тюркоязычных народов Северного Кавказа. *Вестник Пермского университета*, вып. 1(24): 99–108.
- Тохтасьев, Сергей Ремирович. 2005. Sauromatae – Sarmatae – Syrmatae. *Херсонесский сборник*. Вып. 14: 291–306.